# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 21 ხუთშაბათი, 28 იანვარი 1910 წ. № 21

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5 დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საღამოვის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: „Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



წელიწადი მესამე **დროება** წელიწადი მესამე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ (პირველი სტრიქონი) და საზღვარ გარეთ (მეორე სტრიქონი):

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50 | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდება

## კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროები"-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თეის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ, редакція „ДРОЭБА", И. С. Агладзе.

წარმოდგ. № 30-31. **ქართული თეატრი** წარმოდგ. № 30-31.

**შაბათს, 30 და კვირას, 31 იანვარს 1910 წელს**

**გასტროლი ქ-ნ ნინო ჩხეიძისა, ბ-ნთ ვლ. ალექსი-მესხიშვილის და კ. ყიფიანისა.**

ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

პირველად ახალი პიესა **ვასილ ყიფიანისა**

## სამეგრელოს მთავარი ლევან

დრამა 5 მოქმედებად.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ი. გოგოლაშვილი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი, პ. მღვიმე, ნ. ჩხეიძე; ბ-ნნი ვ. ალექსი-მესხიშვილი, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარამე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, მგალობლიშვილი, კ. მესხი, მურვანიშვილი, ვ. მატარაძე, ქივიძე, შ. საფაროვი, ვ. ურუშაძე, კ. ყიფიანი.

ამ პიესისათვის შეკვეთილია ახალი დეკორაციები და იკერება ახალი ტანისამოსი.

**ადგილების ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად „შურის ძიების ღმერთი", „დრამატიული გამგეობის წევრი" ი. გომართელისა.

რეჟისორი **კოტე მესხი.** რეჟის. თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრამ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- და პარას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ.,

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (100—ნ.—95)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—257)

ცნობილი ფირმა **აბრეშუმის თესლისა**

## ხრისტო ს. ხრისტოდულიდისა

ამით აცხადებს, რომ მან გადასცა ამა 1910 წლიდან რამდენიმე წლით **განსაკუთრებული უფლება გაყიდვისა** თავის ფირმის აბრეშუმის თესლისა სავაჭრო სახლს **ი. გოკიელოვის ძ**—ს ქუთაისში და სთხოვს ყველა მისს თესლის მყიდველს, მიმართონ მას საკუთარ სავაჭროში ქ. ქუთაისში. (30—ნ.—6)

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გ ა ი ხ ს ნ ა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიზრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—93)

**ქუთაისში** ექიმი გაბ. იოს. **გოკიელოვი**

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 ს. და საღამოთი 5½—6½ ს. ვენერიულ სნეულებით ავადმყოფების მიღება და აგრეთვე **ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია** (ელექტრონის სინათლის საშუალებით ბუშტების და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. **ელექტროთერაპია**—ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—ჯვ.—18)

**ექიმი ზ. მიქელაძე** **იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.** საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—11)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი** **ქ უ თ ა ი ს შ ი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ, შარდის და კანის** სნეულებით ავადმყოფთ, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (ქარხანა). (25—ჯვ.—9)

**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში ჩ ა რ ე ქ ო ვ ი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა), აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—დ.—24

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—353)

**ექიმი გ. მამაკიანი** **შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს, მიხეილის პრ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—82)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი** კბილისა **რომანიშვილი-დგებუაძისა**

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—2)

**კაბინეტი** **ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—86)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი ვასილ წერეთელი** **ქ უ თ ა ი ს შ ი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—102)

**ექიმი მ. დ. ბეთანოვი** **ქ უ თ ა ი ს შ ი,**

მიიღებს სიფილისით, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფებს დილით 9—11 ს., საღამოთი 5—8 ს. აფთიაქის და კლუბის ქ. კუთხე, N 24/2. (25—დ.—3)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—45

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი დ. ახვლედიანი** იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი ა. ი. შჩერბინინა** ველიკოკნიაზის ქ., N 66, კრილოვის ქ. პირდაპირ. ავად. მიიღება 1—2 ს. ტელეფონი N 715. შინაგანი, ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობანი. (100—1031—3)

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში**

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—46)

**უკანასკნელი ვადა ხელის მოსაწერად**

## განდეგილის

**თხზულებაზე—არის 25 იანვარი.** ვისაც სურს, ხელის მოწერა შეიძლება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ს. მერკვილაძის წიგნის მაღაზიაში, (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) ვ. გადილიას წიგნის მაღაზიაში (კიროჩნი ქუჩ.), „ნოვაია რეჩის" წიგნის მაღაზიაში, (გოლოვინსკზე),—პროვინციაში კი ყველა გაზეთების გამყიდველ აგენტებთან.

ხელის მომწერებს ეთმობა წიგნი 25 კაპ. (6—ნ.—6)

## ჭლექის წინაამდეგ მებრძოლი კავკასიის საზოგადოება.

კავკასიის ნამესტნიკის ნება-რთვით აბასთუმანში არსდება ყველასათვის ხელ-მისაწვდენი სანატორია—100 ჭლექიანისათვის. სანატორია საუკეთესოდ იქნება მოწყობილი და შემოღებული იქნება ყველა ახალი მეთოდი. ფულის მოკრების შემდეგ, რომელიც საჭიროა საქმის თან და თან განსახორციელებლად, საზოგადოება დაუყოვნებლივ შეუდგება სანატორიის მოწყობას.

შემოწირულებანი მიიღება საზოგადოების თავმჯდომარესთან კნ. მ. მ. თუმანოვთან—პასკევიჩის ქ. N 6, გამგეობის წევრებთან ექ. მ. ნ. ვესელოვზოროვთან—კირპიჩ. შეს., ექ. ს. ი. ვაწაძესთან—პეტერბ. ქ., N 9, ექ. ი. ზ. გოპაძესთან—მაღლ. ქ. N 4, ექ. ვ. დ. ლამბამიძესთან—ვოლოვ. პრ, N 8, ი. მ. დოლუხანოვთან—პასკევ. ქ. N 6, ექ. პ. ა. ზავრიევთან—განოვ. ქ. N 3, ექ. გ. ა. კრესტოვნიკოვთან—აბასთუმანში, ექ. ა. ა. მუხარინსკისთან—ველიამ. N 3, ექ. მონინთან—ქალ. სამმ სახლ., ექ. ი. ი. ოსტროვსთან—მიხეილ. ქ. N 106, გ. ნ. სტეფანოვთან—ახალ-ბებ. ქ. N 1, ექ. ნ. ზ. უმიკოვი—განოვ. ქ, N 15, ექ. ე. გ. ფედოროვი—ელისაბ. ქ. N 100, ექ. ა. ი. ხატისოვთან—ქალაქის გამგეობა. (5—5)

**ვკისრულობ დაცვას**

სისხლის სამართლის საქმეებისას ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში. ვაწარმოებ საქმეებს: ცოლ-ქმრობის განქორწინებისას, ადმინისტრ., წოდებრივ, გლეხების და სხვას; უძრავ ქონების გაყიდვას, დაგირავებას ხაზინაში. დაწესებულებებში. ვადგენ: თხოვნებს უმაღლესს სახელზე, ბავშვების შვილად აყვანისა და დაკანონებაზე, ცალკე საცხოვრებლად პასპორტის მიღებაზე, სამხედრო ბეგრის საქმეებზე, საჩივრებს კერძოს, სააპელაციოს, საკასაციოს; ვაძლევ სხვა და სხვა ცნობებს, განმარტებებს; ვადგენ სააპეკუნო ანგარიშებს, პროექტებს ხელ-შეკრულებებისას, პირობებისას, ვალდებულებებისას და სხვა საქმის ქაღალდებისას ყველა დაწესებულებაში. ვაძლევ რჩევებს ყველა საქმეში. **მაქვს ოცი წლის გამოცდილება.** მიღება ყოველ დღე დილით 8—10 ს., საღამოთი 5—8 საათზე.

ტფილისი. დიდი ვანქის ქუჩა, N 3 (სადაც სამხედრო ექიმების სამკურნალოა), ბინა N 4. (წ.—ნ.—30)


## დღიური

**სამშობლო განსაცდელშია!**

ჩვენს გაცრუებულ და გაყალბებულ დროში, როცა მართალს ბრიყვს უწოდებენ და კეთილს—გამოუსადეგარს კაცს, როცა ენა და სიტყვა მხოლოდ იმისათვის გვაქვს, რომ ნამდვილი გრძნობა და ფიქრი არ გამოვსახოთ, არ გამოვაცხადოთ, როცა ადამიანებს შორის მარტო ისეთი ურთიერთობაა ჩვეულებრივი, რომელიც სინამდვილეს არ შეეფერება;

ჩვენს გამოურკვეველსა და ყოვლის უარმყოფელ დროში, როცა წმინდა და მტკიცე რწმენა ახირებულობაა, როცა წუთის ადამიანები დაჰპატრონებიან სამეფოს და არა უნდათ-რა დაინახონ, გარდა ხანმოკლისა, როცა გონება თავხედობაა და ნიჭი—სხვისი სულიერი დამონება, ცოდნა-ცოდვაა და სული გლახაკი—საყვარელი და სასურველი;

ჩვენს დროში, როცა სამშობლო უშინაარსო სიტყვაა, სამშობლოს სიყვარული უვიცობის და განუვითარებლობის ნიშანი, როცა ზოგნი სრულებით უარჰყოფენ სამშობლოს და მის საჭიროებას, ზოგნი კი თუმცა დასცნობენ, მაგრამ არ შეიგნებენ და არ აღიძვრიან სიყვარულით მისდამი,—ასეთ დროში, ვამბობ, სახიფათოა და უხერხული სიტყვები: „სამშობლო განსაცდელშია"!

ვინმე ოცნებით თვისით ცრუდ-გაზვიადებული და მედიდურობითა ცნობა დაკარგული და ვითომდა სიმართლის ბჭეთა ქვეშე მყოფი, დასდგება მაღალსა ადგილს და მიმართავს მისებრ მოაზრეთა: აი, სიტყვა ბნელი და ხალხის მჩაგვრელი! ვინა სცნოს იგი, შთავარდეს განსაცდელსა და დაიხშოს გზა ბედნიერებისაკენ. რა არს სამშობლო?

„რა არს სამშობლო"? იკითხავს ვითა პილატე, რომელიც იკითხავდა, რა არს ჭეშმარიტება?! რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ცხოვრებაში მეტი ბარგია ჭეშმარიტება.

მაგრამ მიუხედავად ასეთ უდროობისა, მიუღიდებლად ვიტყვი: „სამშობლო განსაცდელშია!" და დღეს ჩვენთვის იშვიათია სხვა სიტყვა უფრო მართალი, რომელიც ასე სისწორით, უნაკლულოდ, სავსებით გამოხატავდეს სინამდვილეს. არ არის სიხარული, არც მწუხარება, არც საქმე, არც გონებით წარმოდგენილი, არც ის, რაც არსებობს, არც ის, რაც მოსალოდნელია, არც ყოფილი, არც მყოფი, არც მომავალი, რომელიც უფრო ნამდვილი იყოს! „სამშობლო განსაცდელშია!" ეს ყველაფერია, ეს ჩვენი ყოფნა და არ ყოფნაა. სამშობლო განსაცდელშია, იღუპება, მაშასადამე, ვიღუპებით ჩვენც, იღუპება ჩვენი დედა, რომლითაც ვარსებობთ და ურომლისოდ შესწყდება ჩვენი მაჯის ცემა და მოკვდება სული. იკარგება ათასის წლობით მოპოებული, ჩვენი კულტურა, ჩვენი ენა, მწერლობა, მუსიკა, ხელოვნება, ყველაფერი, რაც შეადგენს ჩვენს მე-ს, ჩვენს არსებას, ჩვენს შემოქმედებას, სიცხოველეს, უკვდავებას.

სამშობლო განსაცდელშია! საქართველო იყიდება, იკარგება ტერიტორია, ურომლისოდაც აღარ არის სამშობლო, აღარ არის ერი! „სამშობლო განსაცდელშია!" ეს ის ხმაა, რომელმაც მკვდრებიც კი უნდა აღადგინოს, დაამხოს ირგვლივ გაბატონებული სიყალბე, შეგვაერთოს ყველა მამულიშვილი, გაგვსმჭვალოს ერთის აზრით და გარდაგვქმნას ერთ ცოცხალ ერად, რომლის ერთსულოვანობისთვის არა არს რა დაუძლეველი და განუხორციელებელი. მონგოლების შემოსევა, შაჰ აბაზის აოხრება, აღა-მაჰმადხანის ცეცხლი არ უქდიდა ჩვენს ქვეყანას იმ განსაცდელს, რომელსაც უმზადებს ჩვენი დრო. მაშინ მტერი ხილული იყო, ახლა ფარულად მოქმედებს, მაშინ განსაცდელი ყველასთვის ცხადი იყო, დღეს კი ბევრისთვის საეჭვოა, მაშინ მტრის მოსაგერიებლად მკლავი გვემარჯვებოდა და ქირში გასამაგრებლად—სულიერი სიმტკიცე გვქონდა, ახლა სრულიად მოუმზადებელნი ვართ და სულით დაცემულნი!

ძლიერი მტერი საშინელი სდგას კარებზე და ჩვენ მას არ ვხედავთ, არრას ვაკეთებთ, არრას ვეძებთ და უდარდელად განვისვენებთ. დღითი-დღე გვიახლოვდება მტერი, ყოველ მის ნაბიჯს უნუგეშობა მოაქვს და რაც დღე გადის, მით ვუძლურდებით. ასეთ ჟამს გაჩუმება დანაშაულობაა, უმოქმედობა- ღალატი! გვახსოვდეს: „სამშობლო განსაცდელშია!" ეს არ ნიშნავს მარტო ჩვენი ეროვნულ არსებობის მოსპობას, ეს მეტს მოასწავებს—ამზადებს ნიადაგს, სადაც თითქმის სრულებით შეუძლებელია რაიმე სოციალური თუ პოლიტიკური გაუმჯობესება.

არა, „სამშობლო განსაცდელშია" —ეს მეტად დიდი სიტყვაა, მეტად ძლიერი ხმაა, რომელსაც მკვდრებიც კი ისმენენ!.. **სიტყვა.**

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 იანვარი.

**საზღვარ-გარედ**

**პარიზი.** ეშინიათ, რომ სენა ხელმეორედ ნაპირებიდან არ გადმოვიდეს და ისედაც დაზარალებული მცხოვრებლები არ დაზარალოს.

**პეკინი.** ჩინეთის მთავრობა ჯერჯერობით არ აილებს სესხს ცინ-ჯოუ-აიგუნის რკინის გზის გასაყვანად.

**სტამბოლი.** ამ დღეებში მოელიან სამ ნაღმოსანს. ეს ნაღმოსნები მთავრობამ შემოწირულ ფულით იყიდა. სიზღვაო სამინისტომ შეიმუშავა საზღვაო პროგრამმა. ამ პროგრამით ხუთი წლის განმავლობაში უნდა აშენდეს ოთხი დრედნოუტი, 22 ნაღმოსანი, რისთვისაც საჭიროა ხუთი მილიონი გირვანქა.

**ვენა.** დაიხურა ჩეხიის სეიმი. სეიმის დახურვის წინ წაიკითხეს ჩეხელ დეპუტატების განცხადება. ჩეხები სწერენ: თუ სეიმმა ვერა გააკეთარა ეს გერმანელ-დეპუტატების ბრალია, რადგან მათ არაფრის დათმობა არ უნდათ. ჩეხები ყოველთვის დაიცავენ ჩეხიის სამეფოს და გერმანელების და ჩეხების სწორ-უფლიანობას და არავის არაფერს არ დაუთმობენო. სლავიანების პრესსა აღტაცებით და სიხარულით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ხორვატია ბარონ რაუხის მართველობის შემდეგ კონსტიტუციონურ ცხოვრებას დაუბრუნდა.

**არჩევნები ინგლისში**

**ლონდონი.** გლაზგოვის და ებერდინის უნივერსიტეტებმა უნიონისტი აირჩიეს.

**რ უ ს ე თ ი**

**ჩერნიგოვი.** დაბა ვორონეჟში პოლიციამ აღმოაჩინა ყალბი ფულების ქარხანა. დააპატიმრეს 4 კაცი.

**რიგა.** რიგის საზოგადო და პოლიტიკურმა საზოგადოებებმა დაადგინეს, მონაწილეობა მიიღონ ლიფლიანდიის რუსეთთან შეერთების 200 წლის თავის დღესასწაულში.

**ჰელსინგფორსი.** „ფინლიანდსკაია გაზეტას" სიტყვით, 23 იან-

ვარს დასცემია გიმნაზიას ვილაც უცნობი. მთვრალი თავს დასცემია რუსულ გიმნაზიის მოწაფეს და ერთი მათგანი დანით კისერში მსუბუქად დაუჭრია. გამოძიება სწარმოებს.

**პეტერბურგი**. ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრს მინისტრთა საბჭოში შეუტანიათ კანონ-პროექტი, რომლითაც წვრილი კრედიტის დაწესებულებებს შემნახველ კასების თანხებიდან სესხად ფული უნდა მიეცეთ. ამასთან კანონ-პროექტით გლეხთა ზოგიერთი საზოგადო კაპიტალები უნდა წვრილი კრედიტის დაწესებულებებს გადაეცეთ.

**პეტერბურგი**. „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“, „მთავარ ანგელოზ მიხეილის კავშირის“, სლავიანთა საქველ-მოქმედო საზოგადოების, ალექსანდრე მესამის სახელობის ისტორიულ ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოების და რუს საკრებულოს საბჭოებმა დაადგინეს, პროტესტი განუცხადონ გერმანელ პროფესსორებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს და გამოაქვეყნეს ფინლიანდიის სასარგებლო მოწოდება. პროტესტში, სხვათა შორის, ნათქვამი არის: რუსეთის ძირითადი კანონები ფინლიანდიას სახელმწიფოდ არა სთვლიან. რუსეთმა ფინლიანდია დაიპყრო და მიტომ შეიერთა და არა თვით ფინლიანდიის სალხის თანხმობით მოხდა ეს შეერთება. ფინლიანდიის კულტურა შედეგია რუსეთის დაუშრეტელ წყალობისა. მთელ ერთ საუკუნის განმავლობაში ფინლიანდიის ახალგაზდებს ჯარში არ იწვევდნენ. ფინლიანდიის კულტურას მარტო რუსეთის ოქრო კი არ იცავდა, არამედ რუსეთის ორთავიანი არწივი. რუსეთის მეფეებმა თავიანთ წყალობით მისცეს ფინლიანდიას სეიმი, სენატი და სხვა ადგილობრივი დაწესებულებანი, თუმცა ეს დაწესებულებები ბევრ შემთხვევაში იმპერიის ინტერესებს არღვევდნენ. გერმანელ პროფესსორებს უნდათ ძალა დაატანონ რუსეთის მთავრობას და ფინლიანდიის საკითხში დათმობის გზაზედ დააყენონ, მაგრამ ამაოდ. ჩვენმა მთავრობამ და საკანონმდებლო დაწესებულებებმა კარგად იციან, რომ რუსეთის საზოგადოებრივი აზრი ფინლიანდიის საკითხში იმათ მხარეზეა.

**არჩევნები ფინლიანდიაში**

**ჰელსინგფორსი**. ნაშუადღევის 3 საათზე გამოირკვა, რომ სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 271,887, სტაროფინებმა 153,691, მლადოფინება 95,920, შვეციის სახალხო პარტიამ 92,809, აგრარიებმა 50,584 და ქრისტიანმა მუშებმა 12,810 ხმა. სტაროფინები დაჰკარგვენ 4, ქრისტიანი მუშები 1 ადგილს, სოციალ-დემოკრატები მოიგებენ 2, შვეციის სახალხო პარტია 1, აგრარები 3 ადგილს.

## უვიცობა თუ უგუნურება?

წავიწითხე „Новая Рѣчь“-ის მე-44 ნომერში წერილი ბ-ნ გვაზავასი „Наука и шарлатанизмъ“. წავიკითხე აგრეთვე საპასუხო წერილი ახალისა „დროების“ მე-289 ნომერში. პირველ ხანს ეს პასუხი საკმარისად მიმაჩნდა, მაგრამ, როდესაც ჩაუკვირდი ბ-ნ გვაზავას წერილს, ჩემთვის საჭირო შეიქმნა ქართველ საზოგადოების ყურადღება მიმექცია ერთის საკითხისათვის, რომელიც ახალს გამორჩა.

რასა ბრძანებს ბ-ნი გვაზავა? თურმე პროფ. მარრი თითქმის ოცი წლის თავდადებულ სამსახურის დროს მეცნიერების ასპარეზზე სცდილობდა ქართველების წარსულ კულტურის დამცირებას, საქართველოს წარსულის გათახსირებას; მაგრამ რადგან ქართველებს წარსულში დიდი კულტურა ჰქონდათ და კულტურული ნაშთებიც მოიპოვება, პროფ. მარრს ერთიღა დარჩენია საქართველოს წარსულის მასალების შემუშავების დროს—მეცნიერული შარლატნობა: „Примѣрами... передергиванiй и подтасовокъ полны, о к а з ы в а е т с я (?), всѣ труды проф. Марра, какiе только такъ или иначе касаются Грузiи“. მკითხველს ეგონება, ამგვარი დასკვნა ბ-ნმა გვაზავამ გამოიყვანა პროფესსორ მარრის მეცნიერულ შრომების გულმოდგინე შესწავლის შემდეგ. ეს რომ ასე იყო, მაშინ ჩვენ, რა თქმა უნდა, გულდასმით მოვისმენდით ბ-ნ გვაზავას მოთხრობას. მაგრამ უბედურება ჩვენი და კიდევ უფრო ბ-ნ გვაზავასი იმაშია, რომ ამ უკანასკნელს არავითარი წარმოდგენა არა აქვს პროფ. მარრის შრომებზე, რომ ბ-ნ გვაზავას არც კი უნებებია მათი წაკითხვა და მთელ თავის ბრალდებას აშენებს იგი პროფ. მარრის შრომის ათიოდე სტრიქონზე. რა თქმა უნდა, ყველამ კარგად იცის, რა ფასი აქვს ასეთ კრიტიკას და რა სახელი აქვს ასეთ საქციელს.

ვინ მოახსენა ბ-ნ გვაზავას, რომ პროფ. მარრი ათახსირებს ჩვენ წარსულს? სად შეიტყო ბ-ნმა გვაზავამ, რომ პროფ. მარრი ყალბი სიარულით მოქმედებს, როდესაც არც კი გადუშლია პროფ. მარრის შესანიშნავი შრომები? ბ-ნი გვაზავა ქართველ ერს ესარჩლება, ამაყობს თავის სიყვარულით მამულისადმი, მაგრამ თურმე ნუ იტყვით მისი მამულიშვილობა დამყარებული ყოფილა ტყუილზე, ყალბ საბუთებზე. მერე ეს არის მამულიშვილობა და მამულის სიყვარული?

ეს პირველი მაგალითი არ არის ჩვენში თავდადებულ მუშაკის გალანძღვისა. ბევრს ეხსომება სამწუხარო და ულონო გალაშქრება ბ-ნ გოგებაშვილისა იმავ პროფ. მარრის წინააღმდეგ (იხ. მისი „ბურჯი ეროვნებისა“). მაშინ ბ-ნ გოგებაშვილს პასუხი გასცა ჩვენმა ისტორიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა (იხ. „მამულიშვილობა და მეცნიერება“, ტფილისი 1904 წ.)

ჩვენში მიღებულია, რომ წარსული ჩვენი უნდა ვაქოთ, ქებათა-ქება უნდა შევასხათ. თუ კი ამ გზას აუხვევთ, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ყალბი მამულისშვილები არ დაგზოგავენ და ჯვარს გაცმევენ. სხვათა შორის, პროფ. მარრიც ხშირად ებრძვის თავის ღრმა-შინაარსიან შრომებში ასეთ შეხედულებას. მარრი, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი, გამსჭვალულია მხოლოდ სინამდვილის, ჭეშმარიტების ტრფიალებით და სხვა საზომი მას არა აქვს. ბ-ნი გვაზავა კი ჭეშმარიტებას კარგად მოკაზმულ ტყუილს არჩევს, ამას მამულის სიყვარულს ეძახის და სურს სხვაც დააჯეროს. სამწუხარო ის კი არ არის, რომ თავის წერილში ბ-ნი გვაზავა უვიცობას ამტკიცებს, სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ჩვენში გვაზავასებურად ბევრი ფიქრობს და აზროვნებს.

პროფ. მარრს ჩემი დაცვა არ ეჭირვება, მაგრამ თუ ორიოდე სიტყვას კიდევ ვიტყვით პროფ. მარრის შრომების მნიშვნელობაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოების ყურადღება დავაინტერესოთ.

განა ბევრი გვყავს ქართველებს მეცნიერი? ბევრი ქართველი სცდილობს მეცნიერებისათვის თავის განწირვას? ბევრია ქართველებს შორის მეცნიერებით შეიარაღებული და დაინტერესებული ქართულ ისტორიის შესწავლით? სულ ცოტა—თითებზე ჩამოითვლებიან. თუ პროფ. მარრს, საქართველოს და სომხეთის წარსულის მკვლევარს, სამეცნიერო აკადემია ირჩევს წევრად, ცხადია, დიდი ღვაწლის უნდა მიუძღოდეს მას მეცნიერების წინაშე. თუ ქართულ ისტორიოგრაფიას მეცნიერული დაღი აზის დღეს, ამ საქმეშიაც უპირველესი ადგილი პროფ. მარრს უჭირავს. ვისაც პროფ. მარრის შრომები წაუკითხავს, შეუსწავლია, გაკვირვებას არის მიცემული აუარებელ ცნობებით, შესანიშნავ თვალმხედველობით. ორიენტალისტიკა ძლიერ რთული მეცნიერებაა. განსაკუთრებული ცოდნა სჭირდება ორიენტალისტს, მით უმეტეს, აღმოსავლეთის გზებისა და წარსულ ისტორიისას. ასეთ ცნობების შეძენა დიდ შრომას მოითხოვს. ჩვენ, ქართველები, გაურბით ამგვარ შრომას. აი, რასა სწერს აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტის ისტორიკოსი პროფ. ბარტოლდი: „Факультегъ еще въ 1885 г. призналъ за армяно-грузинскимъ разрядомъ не одно только научное значенiе, какъ за разрядами еврейско-арабскимъ и санскрито-персидскимъ, а отчасти и практическое“. Дальнѣйшая судьба этого разряда показала неосновательность такого мнѣнiя; въ 1890 г. деканъ В. П. Васильевъ писалъ въ своемъ отчетѣ о производствѣ испытанiй въ коммисiи восточныхъ языковъ, что на армяно-грузинскомъ разрядѣ не осталось и не имѣется ни одного студента“ (იხ. Матерiалъ для исторiи факультета восточныхъ языковъ, т. IV, 1909 г., გვ. 188). აი ჩვენი მამულის შვილობა!

თუ რა ღვაწლი მეუძღვის პროფ. მარრს საქართველოს ისტორიის წინაშე, ამაზე აქ არას ვიტყვი (ამის შესახებ იხ. ჩემი რეცენზია პროფ. მარრის უკანასკნელ შრომაზე „Богословскiй Вѣстникъ“, 1909 წ., ოქტომბერი). თუ რა ღვაწლი მიუძღვის პროფ. მარრს ქართულ ენის შესწავლის საქმეში, ვთხოვ მკითხველს მიმართოს ივ. ჯავახიშვილის შრომას: „Обзоръ теорiи и литератури о происхожденiи грузинскаго языка“ (Ж. М. Н. Пр., 1908 г., августъ). პრ. მარრი გულმოდგინედ ემსახურება ქართულ კულტურულ წარსულს, აგროვებს, ჰბეჭდავს, იკვლევს ჩვენი წარსულ ცხოვრების ნაშთებს; ამასთან ერთად დაინტერესებულია ქართულ ენის ლინგვისტიურ შესწავლით. ამის შესახებ დაიწყო მეტად ძნელი და დიდი შრომა, რომელიც გაამდიდრებს არა თუ ქართულ ღარიბ კულტურას, არამედ დიდ განძს შესძენს მსოფლიო მეცნიერებასაც: 14 ოქტომბერს 1909 წ. სამეცნიერო აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიურ განყოფილებას პროფ. მარრმა შემდეგი აცნობა:

ამა წლის 27 მაისის სხდომაზე მე უკვე მოვახსენე აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიურ განყოფილებას, რომ აზრადა მაქვს მოვაწყო შეკრებვა მასალისა ქართულ და იმის ახლო მონათესავე ენების დიალექტებისა და კილოების შესახებ, იმ ენებისა, რომელნიც შეადგენენ ეგრედ წოდებულ იაფეტიურ შტოს. კიდეც მივიღე ზომები ამ საქმის მოსაწყობად. ამას გარდა, ოსმალეთის ლაზისტანში მოგზაურობის დროს (1909 წლის ზაფხულს) პირადად მე შევისწავლე ერთი იაფეტიური ენათაგანი, სახელდობრ ჭანური (ლაზური). ეს ენა ნაკლებად არის ცნობილი, მაგრამ მას მეტად დიდი ლინგვისტიკური მნიშვნელობა აქვს. ამ ენის წყალობით შემოწმებულ იქმნა მთელი არსებული მასალა; ორჯელ თუ არა უფრო მეტად, გადიდებულ იქმნა ლექსიკონი; შესაძლებელი გახდა დამატებ თი გამოკვლევანი გრამატიკაში; ამასთან გარკვეულ იქმნა, არსებობა ამ ენაში двухъ нарѣчiй задне и африкатно—гортаннаго (восточнаго) и передне или неафрикатно гортаннаго (западнаго), и наличiе въ каждомъ нарѣчiй говоровъ и подговоровъ. ჩაიწერა ტექსტი.. ყველა ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ხელთა გვაქვს „ჭანურ ანუ ლაზურ ენის გრამატიკა ქრისტომატიითა და ლექსიკონით“ („Изв. Акад. Наукъ“, 6 серiя, გვ. 1092).

მოუმატეთ ამას: „Основныя таблицы къ грамматикѣ древне—грузинскаго языка съ предворительнымъ сообщенiемъ о родствѣ грузинскаго яз. съ семитическими“, ცხრა წიგნი „Тексты и разысканiя по армяно-грузинской филологiи“ და სხვა ნაწერები. უდროობის გამო აქ ვერ შეუდგებით სავსებით დახასიათებას შესანიშნავ მეცნიერის და მოღვაწის ნ. ი. მარრისას, რომელსაც თითეული ჭეშმარიტი მამულის მოსიყვარულე ქართველი უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს და კვლავაც მხნე მუშაობას.

**ხიმ. ჯაყალიანი.**

ოდესა.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ **ზარბაზნის აღმოჩენა.** დეპეშათა სააგენტო იუწყება: შუშის განაპირა ადგილას, სომეხთა ნაწილში პოლიციამ აღმოაჩინა ზარბაზანი. ზარბაზანი მიწაში იყო ჩაფლული. პოლიცია სხვა იარაღსაც ეძებს, რისთვისაც მიწას სთხრიან. როგორც ვიცით, შუშაშივე ამ ორიოდე დღის წინად 75 ყუმბარა აღმოაჩინეს.

◆ **მარიამ დემურიას გარდაცვალების გამო.** მარიამ დემურიას გარდაცვალების გამო მოვიდა სამგლოვიარო დეპეშები თელავიდან— წ.-კ. საზოგადოების თელავის განყოფილებისაგან და ხარკოვიდან— ივ. ლორთქიფანიძისაგან.

◆ **„ნაკადული“.** რედაქციამ მიიღო იანვრის წიგნები საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულისა“, რომელსაც ხელმძღვანელობდა განსვენებული მარიამ დემურია. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ჟურნალის გამოცემა არ შესწყდება. იანვრის წიგნები (მოზრდილთა და მცირე-წლოვანთათვის) ისე კარგად არის შედგენილი და სუფთად გამოცემული, როგორიც ყველა წინანდელი წიგნები იყო. ამ წიგნებში მოთავსებულია თხზულებანი ეკ. გაბაშვილისა, ვაჟა-ფშაველასი, შ. მღვიმელისა, ნინო ნაკაშიძისა და მრავალ სხვათა.

◆ **ქუჩების მოკირწყვლა და ლიანდაგი.** ტფ. ტრამვაის დირექტორი სწერს ქალაქის გამგეობას, რომ მიუხედავად მრავალგზის თხოვნისა, ქალაქის თვითმმართველობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს ქალაქის იმ ქუჩების რიგიანად მოკირწყვლას, რომელზედაც ტრამვაის ლიანდაგი დაგებულია. ლიანდაგი მაგარი ოთხკუთხი ქვით არის მოკირწყლული, მაგრამ ბევრგან იგი ინგრევა, რადგან ლიანდაგის ნაპირებს ქალაქი რიყის ქვითა ჰკირწყლავს და ამასთან ცუდად. ლიანდაგის ესეთი მდგომარეობა, დირექციის აზრით, საშიშია ვაგონების წესიერ მიმოსვლისათვის.

◆ **მუხრანის ხიდი.** მუხრანის ხიდი დამთავრების ხანაშია და ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა სამზადისს ხიდის აქეთა და იქითა მხარიდან მისავალ ქუჩა-მოედნების გასწორება-მოწყობას. აზრადა აქვთ ამოაშენონ კედელი რიყის ქუჩის მხრიდან ხიდს ზემოდ, რომ წყალდიდობის დროს ხიდი არ დაზიანდეს. ამ ადგილზე წყლის ნორმალურად მომდინარეობას ხელს უშლის ძველი (საქართველოს მეფეების დროისა) ხიდის მაგარი ჯებირები. რადგან გადაწყვეტილია ამ ჯებირების დინამიტებით აფეთქება და მდინარის ძირის გასუფთავება, 27 იანვრიდან პოლიცმეისტერმა მისწერა პოლიციელებს, აცნობონ ხალხს, რომ აფეთქებაზე არავინ შეშინდეს.

◆ **თავ. გიორგი ამილახვრის მოკვლის განზრახვა.** ტფ. სამოსამართლო პალატამ 26 იანვარს, როგორც იქმნა, განაახლა საქმე ვასილ ჩუბინიძისა, ალექსანდრე მაჭავარიანისა და გიორგი ხუბაშვილისა. ამათ ჰბრალდებოდათ თავ. გიორგი ამილახვრის მოკვლის განზრახვა. მკითხველებს ეხსომებათ ეს ამბავი. იგი მოხდა 1906 წელს 13 აპრილს. თავ. ამილახვარს ყუმბარა ესროლეს წყნეთის ქუჩაზე. საქმე რამდენჯერმე გადაიდო, რადგან თვით თავ. ამილახვარი არ გამოცხადებულა პალატაში. ოლქის სასამართლომ ამ საქმეში სამივე ბრალდებული გაამართლა. მაჭავარიანი სხვა საქმის გამო დაპატიმრებული ყოფილა, ჩუბინიძე არ გამოცხადდა პალატაში და მივიდა მხოლოდ ხუბაშვილი. პალატამ გააუქმა ოლქის სასამართლოს განაჩენი და ბრალდებულთ მიუსაჯა რვა-რვა წლით კატორღა.

## ჩვენი თეატრის მატიანედან

პირველს ხანს ჩვენს მწერლობაში და მეტნაწილ საზოგადოებაშიაც ბეჯითად ადგნენ იმ აზრს, რომ ჩვენი თეატრის თავდაპირველი დამფუძნებელი თავ. გ. ერისთავი იყო. ეს აზრი ისე მტკიცედ ჰქონდათ ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ მისი ვისგანმე უარყოფა დიდ თავხედობად მიაჩნდათ და უარმყოფელს, რა თქმა უნდა, ყურსაც არავინ ათხოვებდა. ხოლო თუ ზოგს ამ საგანზე, თავისით თუ „ურწმუნოთა“ გავლენით, ეჭვი ებადებოდა, ის ისტორიულ სინამდვილეს მაინც არ დაეძებდა, ძველს ჩვეულებას ვერ ჰღალატობდა და ესე ამბობდა: „ვსთქვათ, თეატრის დამფუძნებელი მართლაც გ. ერისთავი არ იყო, მაგრამ რა უშავს, რომ ისა ვცნათ ამად, მით უფრო, რომ საზოგადოება ამ აზრს შეჩვეულია. ცხოვრებაში რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას, ახლისა რისამე შემოღებას, უთოოდ ხომ ვინმე მომვლინებელი, შემომღები უნდა ჰყავდეს, მაშ ჩვენი თეატრის თაოსანიც დეე გ. ერისთავი იყოს, თუნდა ლეგენდალურად,—აი, მაგალითად, ისე, როგორც შვეიცარიის განთავისუფლების მიზეზად ვილჰელმ ტელლს სცნობენ, თუმცა ისტორიულის წესით გამოკვლეულიც არ არის, მართლა ის იყო შვეიცარიის განმთავისუფლებელი თუ სხვა ვინმე“-ო. ამას ამბობდნენ მაშინ, როდესაც ჩვენი დროის თეატრის წარსული ისე შორი ხნის საქმე არ იყო, რომ იმის გაჩენაზე ლეგენდების თხზვა დასჭირებოდათ, და როდესაც თვითონ გ. ერისთავის ბიოგრაფიიდან და მისი დროის თეატრის დასასრულის გათვალისწინებით ადვილი გასაგები იყო, რომ ქართული თეატრი თავ. გ. ერისთავის იდეად სრულებითაც არ შეიძლება ყოფილიყო, ხოლო იდეის უქონლად კი ადამიანს ვერაფრის თაოსნობა, შექმნა, ვერ შეუძლიან; ვერაფერს საქმეს სულით და გულით, საკუთარი სარგებლობის, საკუთარი სიამოვნების უარყოფამდის ვერ მიეცემა.

ამ „ლეგენდალურად“ გ. ერისთავისადმი ქართულ თეატრის მიჩენებამ 1900 წლამდის გასტანა, და ამ წლიდან კი წინააღმდეგი აზრი გამოითქვა. მივაგნეთ, რომ პირველი თეატრის ნამდვილი დამფუძნებელი,—უფრო-კი შემომღები,—იყო თ. ვორონცოვი, იმ დროს მთავარ-მმართებელი, ხოლო გ. ერისთავი იყო მისი მოხელე, ქართულ თეატრის მართვა-გამგეობისათვის დაწესებულ განსაკუთრებულ მინდობილების თანამდებობაზე დანიშნული, შესაფერი ჯამაგირითა და თეატრისათვის ცალკე სუბსიდიის დანიშნით.

ორმოცდა ათი წლის შემდეგ ძლივს გავიგეთ ნამდვილი, ანუ უფრო ძლივს გავბედეთ ნამდვილის თქმა. შეიძლება ეს იმიტომ მოხდა, რომ მანამდის ჩვენი თეატრის საქმე ეგრე რიგად არავის ეინტერესებოდა, ან საჭიროდ არავინ სთვლიდა ყველა მისი მოსაქმისათვის თავთავისი ადგილი ეკუთვნებინა, და ერთნაირად მიაჩნდათ—ერისთავი იყო თეატრის დამფუძნებელი თუ სხვა ვინმე. ასე იყო, თუ ისე, ეს მაინც და მაინც იქნება დიდად გასაკვირველიც არ იყოს, რადგან მაშინდელ თეატრის საქმეებზე, როგორც წერილობითი საბუთები, ისე თვითონ მომქმედნი და თანამედროვენი აღარ მოიპოვებოდნენ, ან, უფრო ნამდვილად რომ ვსთქვათ, ჩვენს თეატრს ჯერ საისტორიო ხანა არა ჰქონდა დამდგარი. მაგრამ ჩვენი, უფრო მახლობელ, დროის თეატრის ამბავიც რომ უკეთესად ვერა გვაქვს გაგებული, როდესაც მაზე თანამედროვეთა ნაწერებიცა და თვითონ თანამედროვენიც ჯერ კიდევ მოიპოვებიან, როდესაც იგი სრული ორმოცი წელიწადია იღწვის საზოგადო ასპარეზზე და, მაშასადამე, ისტორიულ კვლევა-ძიების უფლება დაიმსახურა,—აი ამ თეატრის ნამდვილ ამბის გაგებას რომ არ დავეძებთ, ეს არის საკვირველი. მაგრამ ერთი უბედური თვისება გვჭირს: საზოგადო მოღვაწეობაში უფრო კერპთ-მსახურების აღმასრულებელნი ვართ, ვიდრე ნამდვილ მოღვაწეთა ძებნისა და მათის სამართლიანად დაფასების მიმდევარნი. მოღვაწეობაში, თუ მუდამ არა, ხშირად მაინც და მაინც, პირველ ადგილს და სახელს იმას ვაკუთნებთ ხოლმე ვისაც ამ ადგილის და სახელის მოსაპოვებლად რისამე გაკეთება ფიქრადაც არა ჰქონია. ამისთვის საკმარისია რაიმე რიგად იყოს კაცი საზოგადოებაში გამოჩენილი, მაგალითად: დიდი ქონებით, დიდი ჩინით, ენის სიმახვილით, „დროის ძლიერთათვის“ სასიამოვნო, ან, როგორც იტყვიან, „მოდაში“ შემოსული, და ამისთანა კაცმა რაიმე შემთხვევით „გვერდზე გაუაროს“ რამე საზოგადო საქმეს; „კალთა წამოჰკრას“, რომ შემდეგ მისი ოდნავ შეხებული, კალთა წამოკრული საქმე მთლად მისს თაოსნობას და მოღვაწეობას მივაწეროთ. ესე ყოფილა და ეხლაც, სამწუხაროდ, ესეა.

ჩვენი თეატრის საქმე ამისი თვალსაჩინო მაგალითია, ყველა შემთხვევაში მისი „ისტორიკოსი“ ამ საქმის სათავეში ისეთს პირებს აყენებს, რომელთაც არა თუ ფიქრადაც არა ჰქონიათ, არამედ მოჰრიდებიან კიდეც ამ, მაშინდელ მათი შეხედულობით „საბიჭბიჭო“ საქმეში გარევას და თუ გარეულან, ეს ყოფილა ბოლო ხანებში, მზა-მზარეულზე, როდესაც სულაც აღარ ყოფილან საჭირონი, და გარეულან, იქნება, უფრო სახელისათვის, ან გარეშე ძალდატანებით (ხომ მოგეხსენებათ ჩვენებური „просимъ! просимъ!..“ „უთქვენოდ არ შეიძლება!..“ და სხვ.), მაგრამ მათი ამ საქმეში მონაწილეობა მუდამ მოკლე ხნით ყოფილა და გაკეთებით კი სულ არა გაუკეთებიათ რა.

ეს რაცა ვთქვი, ახალი თეატრის გახსნაზე რუსულად წაკითხულმა და ორს იანვარს ქართულად გამეორებულმა ჩვენი თეატრის ისტორიულმა მიმოხილვამ მათქმევინა, და რადგან ვფიქრობ, ყველა საზოგადო საქმის ისტორია სინამდვილეს უნდა ამბობდეს, ამიტომ საჭიროდ ვრაცხავ აქავე მოვუთხრო საზოგადოებას ჩვენი თეატრის მოკლე მატიანე და შეძლებისა დაგვარად შევატყობინო მისი ნაბიჯ-ნაბიჯ მსვლელობა თ. ვორონცოვის წასვლიდან, რასაც თან მოჰყვა ქართულ თეატრის მიზეზით თავ. ვორონცოვის მიერ თ. გ. ერისთავისთვის დაწესებულ განსაკუთრებულ მინდობილების თანამდებობის გაუქმება, იმავე თეატრისთვის დანიშნულ სუფსიდიის მოსპობა და ზედ-დატანებით თვითონ ერისთავისაგანაც თეატრის მიტოვება. ჩემთვის ეს საქმე, ცოტა არ იყოს, სამძიმოა, რადგან, სხვათა შორის, ჩემ თავზე ლაპარაკიც გამომივა, მაგრამ მაინც იძულებით ვკისრულობ ამას იმ მოსაზრებით, რომ დროა ჩვენს თეატრზე ყალბი ცნობები მოისპოს და მისი ისტორიული სინამდვილე დამყარდეს, თან ეს იმედიცა მაქვს: თუ დავიწყებით რაიმე შეცდომა მომივიდა, ჩემი თანამედროვენი, ამ საქმეში ჩემთან ერთად მომქმედნი და მოღვაწენი, იმის შევსება-გამორკვევაში დამეხმარებიან. ესე ეგების საბოლოოდ გამოირკვეს საქმე, „მიეცეს კეისარს კეისრისა“,—რაიცა საზოგადო ასპარეზზედ ძალთა ასამოძრავებლად დიდ მნიშვნელოვან ღონისძიებად მიმაჩნია,—და ქართული თეატრის მომავალ ისტორიკოსსაც ნამდვილი, უტყუარი მასალა დაემზადოს.

1900 წელს, პირველ ქართულ წარმოდგენიდან 50 წლის იუბილეიზე, დრამატიულ საზოგადოების მხრივ წაკითხულ მოხსენების [1]) შემდეგ განსვენებულმა ილია ჭავჭავაძემ წარმოსთქვა: „შექსპირმა სთქვა: არარაიდან არარაიცა იქნებისო. სცდება შექსპირი: ჩვენი თეატრი არარაისგან წარმოსდგა!“ რა „არარაობიდგანაც“ წარმოსდგა ჩვენი თეატრი, ამას ქვემორე ნათქვამიდან დავინახავთ.

1855 წელს თ. ვორონცოვს სხვა დანიშნულება მიეცა მთავრობისაგან და წავიდა იგი აქედან. იმის დროებით მოადგილედ დარჩენილმა [2]), თავისით იყო, თუ იმის ხელქვეით გავლენიან მოხელეების ზედმოქმედებით [3]). საჭიროდ აღარა სცნა ქართულ თეატრისთვის სუბსიდიის ძლევა [4]) და მასთანვე საკუთარ მინდობილებათა მოხელის თანამდებობაც, თ. გ. ერისთავისათვის ქართული თეატრის მიზეზით რომ იყო დაწესებული, გააუქმა და ამით ქართული თეატრი თავის ანაბარად დასტოვა. გამოვიდა, რომ მთავრობამ როგორც დაარსა ქართული თეატრი, ისე კი·

[1]) ეს მოხსენება დრამატიულ საზოგადოებას ეტყობა არხივში დაჰკარგვია.

[2]) ამ მოადგილედ ზოგი მაშინდელ დიდ გენერალს თ. ვასილ ბებუთოვს სთვლის, ხოლო იმ დროის არტისტი იოსებ ელიოზიშვილი გენერალ რიადს ასახელებს.

[3]) ი. გერსევანიძისაგან გამიგონია, ვორონცოვის დროსვე თურმე თეატრის დირექცია ავი თვალით უცქეროდა ქართულ წარმოდგენებს და რაც კი შეეძლო, სცდილობდა ხელი არ შეეწყო მისთვისაც.

[4]) ხსენებულ არტისტის იოსებ ელიოზიშვილის „მნათობში“ დასაბეჭდად გამოგზავნილ (და არ დაბეჭდილი) წერილიდან, როგორც ჩანს, სუბსიდია ვორონცოვის განკარგულებით ქალაქის გამგეობას უძლევია წელიწადში 4000 მან. და ერისთავის ჯამაგირიც იქიდანვე 2000 მან. პირველი ჯამის გაღება ქალაქის მიერ სხვისგანაც გამიგონია, და ეს მეორე ჯამი რომ ქალაქს გაეღოს, სხვას არავის უთქვამს.

✦ **გადასახლებულთა უკან დაბრუნება.** ნამესტნიკის ბრძანებით, ადმინისტრატიულის წესით რუსეთში გადასახლებულთ ლავრენტი რუხაძის, სიმონ გამსახურდიას და ზაქარია ჩიხლაძეს ნება მიეცათ დაბრუნდნენ სამშობლოში.

✦ **ჭიათურა-წირქვალის გზა.** „ზაკავ.“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: „სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა პირობანი ჭიათურა-წირქვალის გზის გაყვანისა. რეალიზაცია იკისრა ჩრდილოეთ ბანკის სამხრეთ განყოფილების გამგემ ბროდსკიმ“.

✦ **დუშეთის ხაზინის საქმე.** როგორც ვიცით, საქმე დუშეთის ხაზინიდან ფულის გატაცების შესახებ შემოდგომაზე გაირჩა ტფ. სასამართლო პალატაში. ბრალდებულებმა პალატის განაჩენი სენატში განასაჩივრეს: ეხლა სენატში ეს საქმე, სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, გაირჩევა ხვალ, 28 იანვარს.

✦ **გადასაჯდომი ბილეთები ტრამვაიზე.** ეხლა გამოირკვა თურმე, რომ ტფ. ტრამვაის დირექცია უკანონოდ მოიქცა, როდესაც გადასაჯდომ ბილეთების წესი შესცვალა. წინად ასე იყო: გადასაჯდომ ბილეთებს აიღებდი და რომელ შტოზედაც გინდოდა იმაზე გადაჯდებოდი. ეხლა კი შიგ ბილეთშია ნაჩვენები შტო. თურმე ქალაქთან დადებულ ხელშეკრულებაში ყოფილა აღნიშნული, რომ უსახელო საზოგადოებას არ შეუძლიან წესის შეცვლა. ორი თუ სამი თვეა ეს ახალი წესი მოქმედებს და ქალაქის გამგეობა კი სდუმდა. მცხოვრებთა ინტერესების დაცვაც ასეთი უნდა! მხოლოდ ეხლა, ბ-ნ ქანანოვის საჩივრის შემდეგ გაიღვიძა გამგეობამ და დაადგინა, შეეკითხოს დირექციას. დირექცია, ეჭვი არ არის, ჰკრძნობს თავის საქციელის უკანონობას. ალბად ამიტომ მას ეხლა გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ მან დააწესოს სამი საათის ვადა გადასაჯდომ ბილეთებისთვის.

✦ **ბუნების მეტყველთა და ექიმთა კრება ტფილისში.** ტფ. ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა მზადებას 1911 წელს სრულიად რუსეთის ექიმთა და ბუნების-მეტყველთა მე-12 კრების მისაწყობად ტფილისში. ეს საქმე ჩაებარა ქალაქის გამგეობის წევრს თავ. ალ. მ. არგუთინსკის.

✦ **სხდომა.** დღეს, 28 იანვარს, საღამოს 8 საათისთვის დანიშნულია სხდომა წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობისა მიმდინარე საქმეების განსახილველად.

✦ შაბათს, 30 იანვარს, საღამოსთვის დანიშნულია სხდომა ტფ. ქალაქის საბჭოს იმ კომისიისა, რომელსაც ეს მესამე წელიწადია დავალებული აქვს ქალაქის თვით-მმართველობის მოსამსახურე-მოხელეთა შტატების გადათვალიერება და შევსება თუ შემცირება.

✦ ამ ორი დღის წინად სასინოდო კანტორას სხდომა ჰქონდა, რომელსაც პირველად თავმჯდომარეობდა საქართველოს ახალი ექსარხოსი. კანტორას მრავალი საქმე აქვს განსახილველად. ამის გამო დაადგინა, კვირაში სამჯერ გამართოს სხდომა.

✦ მუშტაიდის ქუჩის შესახვევში დააპატიმრეს მაღალაძის დუქანში მყოფი მუშები ათანასე წერეთელი და ზაქარია სტეფანოვი, რომელნიც ადმინისტრაციის ნება-დაურთველად რიღაცისთვის ფულს აგროვებდნენ. დაპატიმრებულთა განცხადებით, ისინი ამ ფულს აგროვებდნენ მე-9 საპოლიციო ნაწილში გარდაცვალებულ იოსებ დარჩიევის დასამარხავად, რადგან იმის ჭირისუფლებს არაფერი არ მოეპოვებოდათ თურმე. პოლიციამ აღნიშნული პირნი ადმინისტრატიულ პასუხის გებაში მისცა. ტფ. მოქალაქემ გიორგი კანტიძემ პოლიციაში განაცხადა, რომ იგი თავის სამჭედლოში შეიტყუა კარაპეტ მინასოვმა, დაათრო და შემდეგ 8 მანეთიანი საათი აგლიჯა. მინასოვი დააპატიმრეს. ამავე დღეს დააპატიმრეს ეფროსინე პოლივანოვისა, რომელმაც გიორგი კველიშვილის სახლიდან ინდოურები მოიპარა. 24 იანვარს გეორგოვის დუქნიდან, მაგისტრალის ქუჩაზე, ბოროტგანმზრახველებმა მოიპარეს 8 სასწორის ქვა. ეჭვით დააპატიმრეს პავლე ერგიმლიძე (13 წ.) და გიორგი ჯავახიშვილი (14 წ.).

## თეატრი და ხელოვნება

**გაბუნია-ცაგარლის იუბილე ბაქოში.** ბაქოს ინტელიგენციასაც განუზრახავს არტისტ-ქალის ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეის გადახდა. მზადებას უკვე შესდგომიან. პირველი ქართული წარმოდგენა ბაქოში ნ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით გამართულა თურმე (ხ.)

—

**სომხური თეატრი.** უკვე ვწერდით, რომ სომეხ ინტელიგენციას აზრადა აქვს საკუთარი თეატრი აგოს ტფილისში სომხურ წარმოდგენებისათვის. ადგილიც აურჩევიათ—ვანქის ტაძრის მახლობლად, ის. მოედანი, რომელიც სომხურ სემნარიას ეკუთვნის და სადაც ამ ჟამად ბაზარია გამართული. ადგილი დიდია და მშვენიერი. ამ საქმეს აწარმოებს განსაკუთრებული კომისია, რომელიც ამას წინად აირჩიეს სომხურ დრამატიულ საზოგადოების კრებაზე და რომელშიაც შედის ბ-ნ მანთაშევი და სხვა მდიდარი სომხები. კომისიას დაუდგენია, ვიდრე საკუთარ თეატრ ააგებდეს, მოაწყონ სომხურ წარმოდგენებისთვის „ტფ. სობრანიის“ სცენა. ამისთვის საჭირო ყოფილა 15,000 მანეთი.

—

**ქუთაისი** შაბათსა და კვირას ქართულმა დასმა კიდევ ორი საყურადღებო პიესები წარმოადგინა. პირველ საღამოს გაიმართა ჩვეულებრივი სახალხო (იაფ-ფასიანი) წარმოდგენა. ითამაშეს იუშკევიჩის პიესა „მეფე“. მეორე საღამოს ბარეტის დრამა „ახალი მოძღვრება“. პირველი პიესა საამდროვოა, მაგრამ ხალხი ცოტა დაესწრო. ავტორი თავის პიესაში ეხება მუშათა და მწარმოებელთა ურთიერთობას, და თუმცა ერთი მხარე, სახელდობრ მუშების ბრძოლა ექსპლოატაციის წინააღმდეგ მოისუსტებს, სამაგიეროდ მეორე მხარე, მწარმოებელ-კაპიტალისტის სულის კვეთება, უმწვერვალესის ძლიერებითაა დახატული.

დამსწრენი კმაყოფილი დარჩნენ წარმოდგენისა. უნდა შევნიშნოთ, რომ დავით გროსმანის „რკ-ნის“ კასსას მხოლოდ ორ მხარესა ჰქონდა კედელი. არც ზევიდან ჰქონდა სახურავი. ყოველთვის, როდესაც კასის კარებს გააღებდნენ, მაყურებელი ოთახში გაკრულ ჭრელ შპალიერს მისჩერებოდა და გულიანად ეცინებოდა.

მეორე საღამოს წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. ეს პიესა დედა აზრით ძლიერ წააგავს სენკევიჩის რომანიდან გადმოკეთებულ დრამას: „ვიდრე ხვალ, უფალო“?.. იგი ეხება ძველ ქრისტიანთა ცხოვრებას, ნერონის დროს.

ხალხი ამ წარმოდგენასაც ნაკლებად დაესწრო. ზოგიერთებმა, ძველს ისტორიას ახალი „სინამდვილე“ არჩია. ამ საღამოს ცირკში „გლადიატორული“ წარმოდგენა იყო დანიშნული; კაცი ხარს უნდა დასჭიდებოდა და ამ მასხარაობას, ვგონებ ნახევარი ქუთაისი დასწრებია...

ამ ბოლო დროს აქაურ წარმოდგენებში მონაწილეობას იღებს ქ-ნი ქილარჯიშვილი. **ჯაფარ-ფაშა.**

## ოსმალეთი

**ოსმალეთ-საბერძნეთის ურთიერთობა.** ოსმალეთის საელჩოში პარიზში უთქვამთ „რ. სლოვო“-ს კორესპონდენტისთვის:

„ახალი ოსმალეთი წინააღმდეგია სისხლის ღვრისა. დარწმუნებული იყავით, რომ ჩვენ ომი არა გვსურს; ჩვენ თითონ არა დროს არ დავიწყებთ ომს. ოსმალეთი არასოდეს არა მოითმენს, რომ კრიტელებმა დეპუტატები გაგზავნონ ათინას პარლამენტში, თუ საბერძნეთის ერი წრეს გადავა, იმედი გვაქვს, რომ მფარველი სახელმწიფოები საბერძნეთს დააწყნარებენ და ჭკუაზე მოიყვანენ“.

იქვე პარიზში უთქვამთ ამავ კორესპონდენტისთვის:

„საბერძნეთს არა სურს ომი, იგი მშვიდობიანის საშუალებით ცდილობს თავის საქმის ასრულებას, მაგრამ შესაძლებელია, რომ ხალხმა თავი ველარ შეიმაგროს და სტიქიურად რაიმე მოულოდნელი გაბედოს თუ დიდი სახელმწიფოები ბეჯითად ჩაერევიან საქმეში, შეიძლება ყველაფერი მშვიდობიანად გათავდეს“.

ინგლისური პრესა მცირე ყურადღებას აქცევს ახლო აღმოსავლეთის საქმეებს. მარტო „ტაიმს“-მა უძღვნა მოწინავე წერილი საბერძნეთ-ოსმალეთის ურთიერთობას. გაზეთი სწერს: „თუმცა ბალკანეთში საშიში ამბები ხდება, მაგრამ იმედია, რომ ომი მაინც არ მოხდება. დიდ სახელმწიფოებსაც გადაწყვეტილი აქვთ, რომ ომი უთუოდ ააცილონ თავიდან ბალკანეთს. საყურადღებოა ისიც, რომ რუსეთი და ავსტრია, რომლებიც ყველაზე ძლიერ არიან დაინტერესებულნი ბალკანეთის საქმეებში, მზად არიან ერთმანეთ დაუახლოვდნენ და თანახმად იმოქმედონ. დიდი სახელმწიფოები, რაღა თქმა უნდა, არ მოითმენენ, რომ კრიტმა, საბერძნეთმა ან ბოლგარიამ ომი ასტეხონ და მთელ ევროპას ცეცხლი წაუკიდონ.“

საზოგადოდ ევროპიული პრესსა, თუ დიპლომატები იმ აზრისანი არიან, რომ დიდი სახელმწიფოები ყოველ ღონეს იღონებენ და ბალკანეთს უთუოდ ააცილებენ თავიდან ომსაო.

**საზღვაო მინისტრის პროექტი.** ახალმა საზღვაო მინისტრმა პროექტი შეადგინა, რომ ოსმალეთმა სულ მოკლე ხანში იყიდოს 2 დიდი ჯავშნოსანი—დრედნოუტი, 6 კრეისერი და 4 ნაღმოსანი. თავის პროექტს მინისტრი ბეჯითად ავრცელებს პარლამენტის დეპუტატებში.

**ჟანდარმერიის რეორგანიზაცია.** ოსმალეთის მთავრობამ იტალიელი პოლკოვნიკი ჯაკონიანი მიიწვია მცირე აზიაში ჟანდარმერიის მოსაწყობად ევროპიულ წესზე. ჯაკონიანი უკვე მოვიდა ქალ. ბაღდადში, მას ახლავს ოსმალელი პოლკოვნიკი ნური ბეი. მთავრობას განზრახული აქვს, ბაღდადში ერთი სპეციალური სკოლა დაარსოს ჟანდარმების მოსამზადებლად, ამ სკოლის მოწაფეთაგან სამი თვის შემდეგ აარჩევენ 300 კაცს, უკვე მომზადებულს სამსახურისთვის და ჟანდარმებად დანიშნავენ. ამ საქმისთვის მთავრობამ 5,000 ოსმალური ლირა გადასდვა. ჯიკონიანი ბაღდადიდან წავა მოსულსა, ბასრასა და სხვა ქალაქებში.

## რა ეშველება ჩვენ სიღარიბეს?

(წერილი რედაქციის მიმართ)

(დასასრული *)

### საქვეყნო თანხა თუ ადგილობრივი?

აკი ვთქვით წინადაც, რომ ხალხურ საქმისთვის საჭიროა დიდი ფული და დიდი ცოდნა. ცალკე სოფელი (ცალკე რაიონი) იმდენს ვერ იშოვნის, რასაც მთელი ქვეყანა შესძლებს. ახლა ესეც ვთქვათ: ამ საქმეს ნამდვილი ერთგულება უნდა და აი, გინდ მე რომ შითხრან, ვისი ერთგული ხარ, შენი სოფლისა უფრო თუ შენი ქვეყნისაო, მე ვიტყვი, რომ საქვეყნო საქმეს უფრო სიხარულით ვემსახურები, იმიტომ რომ, თუ ჩვენი საქვეყნო საქმე გაკეთდა, მაშინ ჩემ სოფელსაც ეშველება აუცილებლად. ახლა არც იმედი მაქვს, რომ ჩემმა სოფელმა მარტო თავისი ძალით რამე საშვილიშვილო საქმე მოაგვაროს და ამ საქმით ან თავის თავს ან მთელ ჩვენ ქვეყანას დიდი რამე შეჰმატოს. მართალია, ადგილობრივი თანხა წვრილი სესხისთვის ძლიერ კაი რამეა, მაგრამ ამ საქმესაც ეშველება ჩვენი საქვეყნო თანხიდან. ესეც უნდა ვთქვათ: ამ საქმეს ქვეყნის საუკეთესო, მცოდნე კაცები უნდა მოთავეობდნენ, მ. შ. ესეც დავიხსომოთ: ჩვენ სიღარიბეს შეეწიდება მხოლოდ საქვეყნო თანხა და საქვეყნო ცოდნა. ამიტომ ჩვენი ამხანაგობა სასოფლო (სარაიონო) კი არა, საქვეყნო უნდა იყოს. იგი თვითონ მიეშველება პატარა ამხანაგობებსაც.

### თანხის შედგენა სარგებლის დაპირებით.

ვინ არ იცის, რომ ფულის პატრონს იქ მიაქვს თავისი ფული, სადაც მეტს სარგებელსა ნახავს. მთელი წარმოება დღეს ამაზეა სწორედ აშენებული: სარგებლის იმედი ატრიალებს დღეს ფულს და სხვაფრივ ფული საწარმოოდ თუ სესხისთვის თითქმის არა გროვდება და არ ტრიალდება. დიდი ფულის პატრონს ოღონდ კარგ სარგებელს დაჰპირდი, თუ აქვს დაბრუნების იმედი, ადვილად ჩაგითვლის ფულს. მაგრამ ხალხი ამნაირად თანხას ვერ მოაგროვებს და თავს ვერ უშველის.

მართლაც და ჩვენ ხომ საერთო თანხა იმისთვის გვინდა, რომ ზოგს კარგი, სამუშაო გავუჩინოთ, ზოგს კაი გამართულობა,—ეს არის ჩვენი, ხალხური საქმე, მაგრამ ამ საქმეში რომ მდიდარმა ფული ჩააბნიოს, განა რა დიდ სარგებელს ნახავს? ხალხური საქმე რომ დიდი სარგებლის მიმცემი იყოს, აქამდის ბევრი „ბანკი“ და „კამპანია“ გაჩნდებოდა ამ საქმის ასაღებად. არა, სხვაფრივ უფრო ადვილია ფულის მოგება და ამიტომ სარგებლის მსურველი ათას სხვა საქმეს მოსძებნის და ამ საქმეში კი ფულს არ ჩააბნევს. მთელ დედა-მიწის ზურგზე არ დაარსებულა ამნაირი „კამპანია“ ან „ამხანაგობა“, რომ პირდაპირ ეთქვას და ასრულებინოს ეს მიზანი: კაი სამუშაო ან კაი გამართულობა გაჭირვებულ კაცსაო!

ჩვენ თვითონ, რაც უნდა ღარიბნი ვიყოთ, რაც უნდა გამოგვეცადოს ჩვენ თავზე გაჭირვება, მაშინვე უმტყუნებთ წმინდა მიზანს, როგორც კი დავაპირებთ სარგებლის აღებას ჩვენ შენატან გროშებში. მაშინ თვითონ ის კაცები, რომლებსაც ჩვენ ჩავაბარებთ საერთო თანხას და საერთო საქმეს, ისინიც თანხის გაზრდაზე უფრო იფიქრებენ, ვიდრე ჩვენ სამუშაოზე. მაშინ ათასი სხვა საქმე გაჩნდება უფრო სარგებლიანი, მაგალითად, სამიკიტნოს გაღება, ფულის მამასახლად [illegible], „ბირჟაზე თამაში“ და სხვა ამისთანა. ვიდრე [illegible] მაშინ საწყალი კაცი? ახლა დავფიქრდეთ: ვინ არის [illegible] დები, რომ ჩვენ ხალხურ საქმეს არ [illegible] ლატებთ? არავინ, ჩვენი სიღარიბის გარდა. მერე, ჩვენ რომ სარგებლით [illegible] ლის პატრონი მოგვიხდეთ, [illegible] საქმეს [illegible] თვით საქმესაც, როგორც წეღანაც ვთქვით, სულ სხვანაირი ელფერი მიეცემა. ეს იქნება „სააქციონერო კამპანია“, მსუნაგი სხვებისავით, ან იმათზე ნაკლები, მაგრამ ნამდვილი ხალხური ამხანაგობა კი აღარ იქნება.

ან კი რად გვინდა სარგებელი, მერე ჩვენი გროშების სარგებელი? ეს დიდი ფულის პატრონის საქმეა, ჩვენი კი არა: ჯერ ჩვენი გროში რა არის, და მერე იმისი სარგებელი რაღა უნდა იყოს! ჩვენ ხომ ყველანი, სულ ერთია, ამითი ვერ ვიცხოვრებთ! ჩვენ ხეირიანი საქმე გაგვიჩინეთ, მერე მუშის მარჯვენამ თვითონ იცის, როგორც აცხოვრებს ქვეყნის დიდსა და პატარას! დეე, ტრიალდეს საერთო თანხა: ზოგს სამუშაო მისცეს, ზოგს სესხი (ცოტათი მაინც დამოუკიდებელ გამართულობისათვის) და რასაც ჩვენი ამხანაგობა მოიგებს, იმისი იყოს და ისევ საქვეყნო საქმეს მოანდომოს, ჩვენ მხოლოდ ჩვენივე შენატანი ფული დაგვიბრუნოს.

### რის იმედი გვაქვს?

ჩვენ თანდათან მივუახლოვდით იმ შეერთების ფორმას, რომელიც ჩვენთვის საჭიროა: ჯერ გადავწყვიტეთ გვექებნა ეს ფორმა იმ ამხანაგებში, რომელნიც საერთო თანხას ატრიალებენ. ახლა ამათშიც დავიწუნეთ ის ამხანაგობები, რომელნიც თავიანთ მონაწილეებს შენატან ფულში სარგებელს აძლევენ. გვრჩება ერთად-ერთ გზა- შევდგენა ჩვენი მონარჩენ ფულით საქვეყნო თანხისა, მაგრამ არა სარგებლის შესაძენად ჩვენთვის, არამედ იმისთვის, რომ ამ თანხას ბრუნვით მიეცეს გაჭირვებულს საქმე და სესხი, ხოლო მოგება რჩებოდეს თითონ ამხანაგობას საკუთრებად.

ვინ შემოვა ჩვენ ამხანაგობაში, ვინ გამოიღებს ფულს უსარგებლოდ? ყველა გვეუბნება, ბევრ მომხრეს ამ საქმეში ვერ გაიჩენთო. მაგრამ ყველა, ვინც ეჭვობს, როცა ვკითხეთ, სხვას თავი დაანებე, შენ თითონ გამოიღებ თუ არა ფულს უსარგებლოთ ამისთანა საერთო თანხის შესადგენადაო, გვიცხადებს თანხმობას და ჯერ უარის მთქმელი არავინ შეგვხვედრია. ამგვარად, თითონ ისინი, ვინც ეჭვობენ, აქრობენ ამ ეჭვს. მაინც დიდ ფულს ვერ იშოვის ამნაირი ამხანაგობაო, იტყვის ბევრი. მაგრამ ესეც ნამდვილი არ არის. აბა დავფიქრდეთ; სხვა ნურას ვიტყვით, მარტო ის უსარგებლო ფული, რომელიც იბნევა სამოწყალოთ („ქველმოქმედებაში“), მარტო ეს ფული რომ თავნად იქცეს და ტრიალდეს, ჩვენი სიღარიბე შემცირდება. მაგრამ ჩაჩუქარი გროშები და წყალობა საჭირო არ არის. ჩვენი იმედი—ნამდვილ, ჩვეულებრივ ამხანაგობაშია. ის კაცი, რომელიც სამოწყალოთ ერთ „კაპეიკს“ გამოიღებს, იმას ალბად აბაზის სესხებაც შეუძლიან. თუ დიდი ფულის პატრონი ას თუმნობით იღებს მოწყალებას, ის ხალხს ათას თუმნობითაც ასესხებს.

ახლა საშუალო შეძლების ხალხი? აი, ჩემ თავზე ვიტყვი: ჩემ სიცოცხლეში ფიქრათაც არ მომსვლია რამე გადამენარჩუნებინა ფულის დასატრიალებლად და მოსაგებად (ფილ. გოგიჩაიშვილი, ამტკიცებს, თითქმის ყველა ქართველი ესეთიაო). ეს კი არა, ჩემ თვალში ჯერ თითონ ფულის მონარჩუნებასაც კი თითქმის რაღაც კრიჟანგობის ფერი ედება... მესმის, რომ უაირათი, პატარა ხელმოჭერილობა და ფულის გადადება შავი დღისთვის კარგი საქმეა, მაგრამ, ჯერ ერთი, მე ამ შავ დღეზე ფიქრი, სწორე მოგახსენოთ, სულაც არა მსურს. ახლა ჩემი დღენი სულ რაღაც უბედურობის მოლოდინში როგორ უნდა გავატარო მართლა? თავის დროზე თავში ვიცემ და ვიშოვი როგორმე ფულს. თავის დროზე ტირილიც მეყოფა! ვთქვათ, ეს იქნება დაუდევრობითაც მო-

*) იხ. „დროება“ № 20.

---

დეც გააუქმა იგი, და გ. ერისთავიც, ვითარცა შტატ გარედ დარჩენილნი მთავრობის მოხელე, გულდამშვიდებით თავის მამულში გადასახლდა. ამ გვარად ქართული თეატრი უნდა მოსპობილიყო, რომ იმ დროის თეატრის საქმეში ახლო მონაწილეს ივანე კერესელიძეს ხელი არ მოეკიდნა და მისი გაძღოლა თავის კისრად არ აეღო. (იმანვე იკისრა გ. ერისთავისაგანვე მიტოვებულ მაშინდელ ერთად-ერთ ჟურნალის „ცისკრის“ რედაქტორ-გამომცემლობაცა).

პირველ ხანებში ი. კერესელიძემ ისე მოახერხა, რომ სახელმწიფო თეატრი (თამამშოვის ქარვასლაში), მუსიკით და რეკვიზიტ-ბუტაფორიით მუქთად ეძლეოდა; მაგრამ ჩქარა ესეც მოუსპეს. მაშინ იმან ქართული თეატრის სვე-ბედი მთლად თავის კისრად აიღო. ერთი დიდი დარბაზი დაიქირავა ფრანგების ქუჩაზე თავის ხარჯით (ვალით), თეატრად გადააკეთა, ლოჟებითაც მოაწყო და წარმოდგენები დაიწყო[5]) ამ თეატრმა ექვს თვეს გასტანა. შემოსავალი იმდენი ჰქონდა, რომ ძლივს მოთამაშეთ აკმაყოფილებდა. სახლის ქირისთვის და მოწყობაზე ნახეს ორას თუმნის გადასახდელად კი აღარა რჩებოდა-რა. ხელის შემწყობი, ზნეობით და ნივთიერად დამხმარე არავინ ჰყავნდა და იმის საქმე იქამდის მივიდა, რომ თეატრის მთელი მოწყობილობა და ავეჯი საჯაროდ გაუყიდეს ვალში[6]) ამანაც სრულად ვერ გაისტუმრა ვალი და იმდენი დარჩა კიდევ გადასახდელი, რომ რამდენსამე წელიწადს ჯამაგირიდან ახდევინებდნენ (გიმნაზიაში ქართული ენის მასწავლებლად იყო).

მაშინდელმა თეატრმა ბევრი ნიჭი გამოიჩინა, როგორც სცენიური, ისე მწერლობითი. იმ დროის მსახიობნი იყვნენ: ქალები საიკაძისა, ტატიევისა, ანტონოვისა, ბაფეროვისა, აბრამიძისა, უზნაძისა და კორძაიასი; ვაჟები ზ. ანტონოვი, დვანაძე, ტატიევი, რჩეულოვი, ჯაფარიძე, კორძაია, კიკნაძე, იოს. ელიოზოვი, ალ. მეიფარიანი, აბრამიძე და ზეიდალოვი. ესენი ყველანი კარგ მსახიობებად ითვლებოდნენ, ხოლო აბრამიძე ისეთი შესანიშნავი კომიკი ყოფილა, რომ სცენაზე გამოვიდოდა თუ არა, ხმის ამოღებამდისვე ხალხი სიცილისაგან თავს ველარ იმაგრებდაო. წარმოსადგენ პიესებსაც, გ. ერისთავის გარდა, თვითონ აქტიორებიც სწერდნენ. ესენი იყვნენ: ზ. ანტონოვი, ჯაფარიძე, დვანაძე, მეიფარიანი, ი. კერესელიძე და იოს. ელიოზოვი[7]) ზურაბ ანტონოვზე ის აზრია დამყარებული, რომ სასცენო საქმის ცოდნით და გულმოდგინებით ერისთავს თუ არა სჭარბობდა, არც ჩამოუვარდებოდა, და რომ უდროვო მისი სიკვდილით დიდი მარცხი მოუვიდა ქართულ თეატრსაო. იგი კერესელიძის დროის თეატრს არ მოსწრებია.[8])

საზოგადოდ რომ ვსთქვათ, მაშინდელი თეატრი, რა ხანიც იყო, კარგად გამოიჩარხა; მსახიობებიც კარგები ჰყავნდა, პიესებიც, დროის მიხედულობით, საკმაოდ იწერებოდა, საზოგადოებაც ბლომად დაიარებოდა, და ამის მიუხედავად მაინც თავის დამფუძნებელს თ. ვორონცოვსთან გაჰყვა იგი. მაგრამ არც საკვირველია, რადგან რა საქმესაც გარედგან აქვს ძალა და არა შიგნიდან, თავისშივე, იმასთან საქმეს მუდამ ესეთი ბოლო აქვს, იმისთანა გარემოებაში მაშინდელი თეატრი საბოლოოს ვერას გააკეთებდა, რადგან საზოგადო საქმეს, მოხელებრივად (ჩინოვნიკურად) წარმოებულს, საქმისათვის სულის ჩადგმის უნარი არა აქვს; დიდთაგან მოპრიანებით მოვლენილს და მცირ ეთაგან მხოლოდ საკუთარ სარფისთვის წარმოებულს საქმეს დიდი მანძილი არაოდეს არა ჰქონია, და ჩვენი პირველი თეატრი სწორედ ამ პირობებში იყო მომწყვდეული.

ამიტომაც ისე გაჰქრა იგი, თითქოს არც კი როდისმე ყოფილიყოს. იმისაგან მარტო ისღა დარჩა (ან იმისაგან კი დარჩა?), რომ შემდეგში ვინმე წარჩინებულ მანდილოსნის მეთაურობით კანტიკუნტად მოყვარულთა საქველმოქმედო წარმოდგენები იმართებოდა, ანუ მოყვარულნი თავისთავად ვისიმე სასარგებლოდ წარმოდგენას ახერხებდნენ ხოლმე. ესეთი წარმოდგენები 1867 წლამდის (ე. ი. 10—11 წლის განმავლობაში) წელიწადში ერთ-ორს თუ გაჰმართავდნენ, ხოლო რაც შეეხება სამუდამო თეატრის[9]) დაფუძნებაზე ფიქრს, ეს არა თუ არავის მოჰსვლია აზრად, არამედ ამისთანა ფიქრს „სიგიჟედ“ სთვლიდნენ და თუ ამაზედ ვინმე იტყოდა რასმეს, მსმენელი დიდ გაოცებაში მოდიოდა. ამ მდგომარეობაში იყო ქართული თეატრის საქმე 1867 წლამდის. ამ წელს კი ეს „გიჟური“, მაშინდელ საზოგადოებისთვის გასაოცარი, აზრი დაიბადა. ერთმა პატარა წრემ გამოსაცემად განზრახულ ჟურნალის რედაქციასთან მიკედლებით თეატრის აღდგენა და მისი მკვიდრ ნიადაგზე დამყარება დაიდო მიზნად. ეს ჟურნალი „მნათობი“ იყო.

**ნიკ. ავალიშვილი.**

(შემდეგი იქნება)

[5]) იმავე წერილს იოს. ელიოზიშვილი სწერს: „ნამესტნიკმა მურავიოვმა თეატრი იჯარით გასცა და ქართულმა ტრუპპამ 1855 წ. დროებით გამართა წარმოდგენა მოქალაქე გართანოვის პატარა და უხერხულ ზალაში, ხოლო 1856 წ. თუ 1857 წ. ნამესტნიკი ბარიათინსკის ბძანებით კვლავ იწყებს წარმოდგენა სახელმწიფო თეატრში, მაგრამ „მისი მოქმედება მალე შედგა და განსწავლული ტრუპპა სამარადისოდ განიბნა“. 1855 წ. გართანოვის სახლში წარმოდგენა უნდა ყოფილიყო კერესელიძის შერმაზანოვის სახლში თეატრის მოწყობამდის, ხოლო ტრუპპისაგან „1856 წ. თუ 1857 წ.“ სახელმწიფო თეატრში წარმოდგენის გამართვა—კერესელიძის თეატრის საჯაროდ გაყიდვის შემდეგ.

[6]) ივ. კერესელიძეს ბევრჯელ უჩივლია (მე-60 წლების ბოლო ხანში) მე რომ დამხმარე მყოლოდა ვინმე, ან გიორგი ერისთავს ჩვენთვის თავი არ დაენებებინა, ეხლა ჩვენი თეატრი გაჩაღებული იქნებოდაო. ზედაც დაუტანებია: „რაგინდა ჰქნა?! მე რომ თეატრის ავლადიდება მიყიდდნენ, ზედაც არავინ შემომხედა. თვითონ გ. ერისთავი მაშინ, თავის მხნვილი ჯოხით, ბულვარზე არხეინად დასეირნობდა“...

[7]) იმავე წერილში ნათქვამით, ჯაფარიძემ დასწერა: „მაიკო“ და „ეჭვიანი ქმარი“; დვანაძემ: „პუკიაში სახლი ქირით“ და „პაპა და შვილის-შვილი“ (დრამა); მეიფარიანმა: „ქმრები გავაბით მაზემი“, ელიოზოვმა; „ჩემი ქმარი ხზვას ირთავს“. და კერესელიძემ: „შვილი უმანკოებისა“ (დრამა).

[8]) იმავ ელიოზოვისგან გამიგონია, ზ. ანტონოვი რომ არ მომკვდარიყო, თეატრი არ მოგვემლეჩოდაო.

[9]) ამ წარმოდგენეზე სახცენო ნიჭი გამოიჩინეს: კოტე ყალუბანსკიმ, ხააკოვმა, მამულოვმა, იაკ. იმნაძემ და სხვებმა.

მივიდეს, მაგრამ აი რაში ვარ მართალი: ჩემი ფულის დატრიალება და მისი სარგებელი მე, სულერთია, ვერ მაცხოვრებს. ამიტომ, მე რომ მითხრან, ფული მოინარჩუნე და შეიტანე სადმე, სარგებელი გექნებაო, ამნაირი რჩევა ყურში არ დამიჯდება, ამის გულისათვის მე ვერც ჩემ თავს შევაწუხებ, ვერც ჩემ მახლობელს და სტუმარსა. ჩემი წრის ხარჯს მე ვერ დავუკლებ ამის გულისთვის, რადგან არა ღირს ამად. მაგრამ რომ მითხრან, ფული გადასდე ხოლმე და ამუშავე ნამდვილ სახალხო საქმეშიო,—ეს სულ სხვაა, აქ ჩემი დაუდევრობა იკარგება, აქ იქნება საქმეც გავიშჩირო და ყოველ გროშს დაუწყო თვლა ძუნწივით, ამას მაშინ აღარავის წინ ვითაკილებ, ამას კრიჟანგობის სუნი აღარ ედინება. ვერც ვერავინ ჩამაცივდება თავის რჩევრთ, ბევრს ნუ ხარჯამო სხვას აჩუქეო, ამასაც ვერ მეტყვიან ჩემი ხარჯი—მხოლოდ ჩემი საქმეა. მაშინ კი, როდესაც საერთო თანხა გაჩნდება, ბევრი შეაყენებს გამოლანგავ კაცსა. ეს მიზანი აუცილებლად შესცვლის ჩვენი „საზოგადოების“ ჩვეულებრივ ხარჯს, მეტ ყაირათს შეაჩვევს, და ეს ხომ თავის თავათაც სასარგებლო იქნება და საერთო თანხის შესადგენადაც.

ასეა: გვიშველის ყოველი სინიდისიანი კაცი და ქალი, ხალხში დიდი ზნეობრივი ძალაა, ჭეშმარიტად ყოვლის შემძლები. ამ ძალას განათლებულმა კაცებმა გზა უნდა მისცენ, გასავალი უნდა მოუპოვონ. აი მაშინ ეშველება ჩვენ სიღარიბესაც და სხვა საქვეყნო საქმესაც!

ჩვენი ამხანაგობის წესდებას ცალკე მოგახსენებთ. **რამან.**

## რუსეთი

**✦ გურკო და რეინბოტი.** სატახტო ქალაქის გაზეთები საინტერესო ამბავს გადმოგვცემენ: გურკოს მალე შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნავენ, ხოლო მოსკოვის გრადონაჩალნიკად ნამყოფ რეინბოტს კი ვილნოს გენერალ-გუბერნატორადო. როგორც ვიცით, გურკო ამ რამდენიმე ხნის წინად გაასამართლეს (გურკო-ლიდვალის საქმე) და, სხვათა შორის, სამის წლით სახელმწიფო სამსახურში შესვლა აუკრძალეს. თუმცა სამი წელიწადი ჯერ არ გასულა, მაგრამ რეინბოტის „საქმენი-საგმირონი“ ხომ სულ ეხლა გამოამჟღავნეს და როგორც სჩანს, ვილნოს გენერალ-გუბერნატორობა „დასჯა“ ყოფილა!!

**✦ ცირკულიარი.** ამ დღეებში სახელმწიფო სათათბიროს პროგრესისტი დეპუტატები კერძო საშუალო სასწავლებლებს შეეკითხნენ, შეგვატყობინეთ თუ რა მდგომარეობაში არიან სასწავლებლებიო. ამის გამო პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი იმ კერძო სასწავლებლებისთვის, რომლებსაც მთავრობის სასწავლებლების უფლება აქვთ, შეუტყობინებია, თქვენ უფლება არა გაქვთ მთავრობის დაუკითხავად ვისმე ცნობები მისცეთ.

**✦ ოქტომბრისტები და პროვოკაცია.** „რუსკ. ვედ.“-ი იუწყება: ამ დღეებში სახელმწიფო სათათბიროს ოქტომბრისტების ფრაქციის ბიუროს სხდომა ჰქონდა. ბიუროს ერთმა წევრმა განაცხადა, სათათბიროში შევიტანოთ შეკითხვა ყავახანა „ცენტრალ“-ში მომხდარ აფეთქების შესახებ. როგორც გამოირკვა, აფეთქებაში მონაწილეობა მიუღიათ სატუნინს და პრეობრაჟენსკის, დამცველ პოლიციის აგენტებს. საინტერესო ის არის, რომ სატუნინს არა სცოდნია პრეობრაჟენსკის აგენტობა, პრეობრაჟენსკის სატუნინის და ამის გამო ერთიერთმანეთს აბეზღებდნენ, ესა და ეს პირი ყუმბარებს ინახავსო, დიდი ხნის კამათის შემდეგ ოქტომბრისტების ლიდერებს დაუდგენიათ, პროვოკაციის შესახებ შეკითხვებში ოქტომბრისტებმა ინიციატორობა არ უნდა იკისრონო.

**✦ სამღვდელოების დადგენილება.** ტავრიდის ეპარქიის სამღვდელოების კრებას დაუდგენია, თითეულ ეკლესიას შეაწეროს ფული და ამ ფულით გამოსცეს სოციალიზმის საწინააღმდეგო ბროშიურა.

**✦ მანუსევიჩ-მანუილოვი.** ამ რამდენიმე დღის წინად გაჩხრიკეს „ნოვოე ვრემიას“ თანამშრომელი მანუსევიჩ-მანუილოვი. „რეჩის“ სიტყვით მანუსევიჩ-მანუილოვს ბრალდება, ბურცევს პოლიციის დეპარტამენტის საიდუმლო დოკუმენტები მიჰყიდაო. მანუსევიჩს ციმბირში ასახლებენ.

**✦ სახელმწიფო საბჭო.** სახელმწიფო სათათბიროს ცენტრს და ოპოზიციის დეპუტატებს გადაუწყვეტიათ სათათბიროში განცხადება შეიტანონ, რა მიზეზია, რომ სახელმწიფო საბჭოში ამდენი სათათბიროს მიერ განხილული კანონპროექტები მოგროვდა და ჯერეც არავინ იცის, როდის მოასწრობს საბჭო ამოდენა კანონპროექტის განხილვას-ო. როგორც ამბობენ, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს, ხომიაკოვს ხელმწიფე-იმპერატორისთვის მოუხსენებია, სახელმწიფო საბჭოში ბევრი კანონპროექტი მოგროვდა განსახილველი და არ ვიცი რა მიზეზით. ამბობენ, რომ ამაში ბრალსა სდებენ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს აკიმოვს, რომელსაც მალე გადააყენებენო.

**✦ პსკოვის ქალაქის გამგეობაში.** „რეჩს“ პსკოვიდან დეპეშითატყობინებენ: ქალაქის გამგეობის მოსამსახურეებმა გამგეობაში საერთო თხოვნა შეიტანეს, ჯამაგირი მოგვიმატეთო. გამგეობის ერთმა წევრმა მოსამსახურეების თხოვნას შემდეგი წარწერა გაუკეთა: „ყველა მოსამსახურეები დაითხოვეთ და მათ ადგილზე სხვები დანიშნეთო“. მოკლედ და ნათლად არის ნათქვამი!

## უცხოეთი

**არჩევნების შემდეგ ინგლისში.**

არჩევნები გათავდა და ინგლისის ხალხი, ცოტა არ იყოს, დაწყნარდა, გაჩუმდა. მინისტრები ასკვიტი და ლოიდ-ჯორჯი რივიერაზე წავიდნენ შესასვენებლად. ახალ პარლამენტს 8 თებერვალს (ჩვენის სტილით) გახსნიან. როგორ მოექცევა ლიბერალური სამინისტრო ლორდთა პალატას და რა ტაქტიკას დაადგება ამ საქმეში, ამაზე გადაწყვეტათ ჯერ არა იციან რა. გაზეთები, მათ შორის რუსულებიც, თითონვე ცდილობენ გამოცნობას, როგორ წავა საქმე ინგლისში და რა გზას დაადგება ასკვიტის სამინისტრო. „რეჩ“-ი სწერს:

„ინგლისში გათავდა არჩევნები. ყველგან აირჩიეს დეპუტატები. გარდა სამის ადგილისა, სადაც აქამდე უნიონისტებს ირჩევდნენ ხოლმე. თუ ეს სამი ადგილი მათვე შერჩებათ, ახალ პალატის შედგენილობა ამნაირი იქნება: უნიონისტი—274, ლიბერალი—273, მუშათა პარტიის წევრი—41, ნაციონალისტი—71 და დამოუკიდებელი ნაციონალისტები 11 ახალი ჯგუფია, რომელიც გამოეყო ირლანდიელ ნაციონალისტების პარტიას, რადგან მათ არ მოსწონდათ ჯონ რედმონტის ტაქტიკა, რომელიც ახალ ჯგუფის მეთაურებს ობრიენს და ჰილის მეტად რბილად მიაჩნიათ.

პალატის ასეთი შედგენილობა მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში აგდებს ასკვიტის სამინისტროს. ამ სამინისტროს უმეტესობა ეყოლება პალატაში, იგი მთავრობის ძალასაც შეინარჩუნებს, მაგრამ საქმე ეგაა დიდის ხნით? ყოველ შემთხვევაში მას ძლიერ გაუძნელდება ისეთ საერთო პროგრამის გამოძებნა, რომელიც შეიძლებს ამ ჭრელ და ნაირ-ნაირ უმეტესობის მჭიდროდ შეერთებას. რიცხვით ეს სრულიად საკმაო უმეტესობაა: ლიბერალებისა, მუშებისა და ნაციონალისტების კავშირი ასი კაცით აჭარბებს უნიონისტებისა და დამოუკიდებელ ნაციონალისტების რიცხვს. საქმე ისაა მხოლოდ, იპოვება საფუძველი ასეთის კავშირის არსებობისთვის?

ასეთ საფუძვლად შეიძლება გამოდგეს მთავრობის მომხრე პარტიების საერთო იერიში ლორდთა პალატაზე, მის „ვეტო“-ს უფლებაზე. სამინისტროს რადიკალი წევრები—ლორდ-ჯორჯი და ჩერჩილი, ამ ტაქტიკას ემხრობიან და გაბედულ იერიშის მიტანას ნდომობენ. შესაძლებელია, რომ ამ გზას დაადგეს მთელი სამინისტროც, რადგან სხვა გზა, სხვა გასავალი არა ჩანს. მაგრამ ამ იერიშის გამარჯვება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მოსალოდნელი, თუ მეფე დასთანხმდება და დახმარებას გაუწევს ასკვიტს, თუ იგი 500 ახალ პერს (ლორდთა პალატის წევრს) დანიშნავს, ესე იგი თუ მეფე ფაქტიურად მოსპობს ლორდთა პალატას იმაზე წინ სანამ ეს პალატა იურიდიულად იქნება მოსპობილი? შეუძლიან ასკვიტს ასეთი მოთხოვნილება წარუდგინოს მეფეს, როდესაც ინგლისის ხალხმა ასეთი სუსტი დახმარება გაუწია მის სამინისტროს პროგრამას? ან ასკვიტმა გინდაც წარუდგინოს, მეფე შეიწყნარებს, შეასრულებს ასეთს მოთხოვნილებას? ორიოდე ატაცებულ ოპტიმისტს გარდა, დანარჩენი მცოდნე ხალხი გადაჭრით „არათი“ გიპასუხებთ ამ კითხვებზე. შეუძლებელია, რომ ეხლანდელ პირობებში მეფე ედუარდმა დანიშნოს 500 ახალი წევრი ლორდთა პალატისა მხოლოდ ლოიდ-ჯორჯისა, ჩერჩილისა და ირლანდიელების სასიამოვნოდ, რადგან თუმცა ეს საქმე ფორმალურად კანონიერი იქნება, მაგრამ იგი მაინც ეწინააღმდეგება ინგლისის კონსტიტუციასა და ჩვეულებას. ზომიერ ლიბერალებში ბევრია გულწრფელი მომხრე ორ-პალატიან სისტემისა; ლორდთა პალატის უფლების ალაგმვა მით მხოლოდ საბიუჯეტო საქმეებში უნდათ, ხოლო ისინი ყველას ამჯობინებდნენ ისეთ რეფორმას, რომელიც შეეხებოდა მხოლოდ ლორდთა პალატის ორგანიზაციასა და შედგენილობას და არა მის მოვალეობას, და უფლებას: ამ მხრივ ეს ზომიერი ლიბერალები უფრო უნიონისტებთან არიან ახლოს, სანამ რადიკალებთანა და ირლანდიელებთან. თუ ასკვიტი პირდაპირ იერიშით მივა ლორდთა პალატაზე, იგი ამით ძლიერ მაგრად შეიერთებს თავის მოკავშირეებს, მუშებსა და ირლანდიელებს, მაგრამ ამასთანავე შესაძლებელია, რომ პირველ მინისტრს ამ იერიშის დროს თავისი საკუთარ პარტიის წევრები არ დაემორჩილნენ.

ვსთქვათ, ასკვიტმა ან სულ უარჰყო, ან არა და სხვა დროსთვის გადასდვა ეს იერიში. ბიუჯეტისთვის მაინც ჰყავს უმეტესობა? ეს საქმე დამოკიდებულია ირლანდიელებზე. პირველ ორის განხილვის დროს ირლანდიელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ბიუჯეტს, ხოლო მესამედ წაკითხვის დროს მათ მონაწილეობა არ მიიღეს კენჭის ყრაში. ირლანდიის ხალხს ძლიერ უჯავრება ლოიდ-ჯორჯის ბიუჯეტი, რადგან იგი 2 მილიონ გირვ. სტ. ახალ გადასახადს უმატებს ირლანდიას. თუ რა ძლიერ არ მოსწონთ ირლანდიელებს ბიუჯეტი, ეს იქიდან სჩანს, რომ დამოუკიდებელმა ნაციონალისტებმა პირველ შეტევის უმალვე გაიმარჯვეს 11 ოლქში. დამოუკიდებელი ნაციონალისტები ამტყუვნებენ ირლანდიელების მეთაურს ჯონ რედმონდს.—იგი ლიბერალებმა მოხიბლეს ისეთის საოცნებო დაპირებით, როგორც ჰომრული (ავტონომია) და ლორდთა პალატის უფლების შეზღუდვა და ამით სულ დაავიწყებინეს ირლანდიის არსებითი ინტერესებიო. დამოუკიდებელი ნაციონალისტები ახალ პალატაში უთუოდ წინააღმდეგობას გაუწევენ ბიუჯეტს. ნაციონალისტების მთელი პარტია როგორ და მოიქცევა, თუ ჰომრულის დაუყოვნებლივი დაწესება შეუძლებელი აღმოჩნდება? მის ხელშია სამინისტროს ბედი; მას ყოველ წამს შეუძლიან სამინისტროს მხრის დაჭერაც და დამხობაც. ცხადია, ნაციონალისტები ბიუჯეტის შეცვლას მოითხოვენ ირლანდიის სასარგებლოდ; სხვა არა იყოს-რა მარტო დამოუკიდებელთა ჯგუფის მეტოქეობის შიშით მოითხოვენ ამას. სამინისტრო იძულებული იქნება ბიუჯეტი შესცვალოს და ირლანდიას გადასახადის ტვირთი შეუმციროს. ვერე, როგორ შეხედავს ამას ინგლისელი ამომრჩეველი? ვაი თუ ინგლისელებმა სთქვან, რომ სამინისტრო ჩვენს ინტერესებს ჰყიდის ირლანდიელთა ხმების გულისთვისო დასასრულ, შესაძლებელი იქნება ირლანდიის სასარგებლოდ შეცვლის შემდეგ ბიუჯეტის უდეფიციტოდ (ესე იგი ისე, რომ გასავალმა შემოსავალს არ გადააჭარბოს) შედგენა! ან ისე, რომ ინგლისელებს გადასახადის ტვირთი არ დაუმძიმდეთ!

აი, ასეთი დაბრკოლება უდგა წინ ასკვიტის სამინისტროს! მას ადგილას რომ ბალფური იყოს, არც თუ ის იქნებოდა ნაკლებ გაჭირვებაში. პარტიების ძალთა განწყობილება ახალ პალატაში ისეთია, რომ გასავალი არა ჩანს. როგორ მოიქცევა და როგორ დააღწევს თავს ამ გაჭირვებას ასკვიტი,—ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს. მალე პარლამენტი შეიკრიბება, ხოლო 21 თებერვალს (ახალ სტილით) წაიკითხავენ სეფე-სიტყვას, რომელიც გაგვაცნობს სამინისტროს პროგრამას“.

**ცვლილება ასკვიტის სამინისტროში.** ინგლისური გაზეთები იუწყებიან: შესაძლებელია ამ მოკლე ხანში ასკვიტის სამინისტროში ცვლილება მოხდესო. შინაგან საქმეთა მინისტრი ჰერბერტ გლადსტონი ხომ შარშანვე დაინიშნა სამხრეთ აფრიკის მთავარმართებლად. მას მაგივრად შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნება ირლანდიის საქმეთა მინისტრი ბირელი; ვაჭრობის მინისტრი ჩერჩილი დაინიშნება ირლანდიის საქმეთა მინისტრად, ჯონ ბერნსი დაინიშნება ვაჭრობის მინისტრად, ხოლო ლანკასტერის საჰერცოგოს კანცლერი სამუელი დაინიშნება ჯონ ბერნსის წინანდელ თანამდებობაზე.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ბოდბისხევის მიძინების ეკლესიის მრევლისა და იმავე ეკლესიის კრებულისგან ბოდბის წმინდა ნინოს დედათა მონასტრის იღუმენიას ნინოს, რომელმაც შემოსწირა ეკლესიას წმ. ნინოს და ჯვარცმის ხატები, ღირებული ხუთ თუმნად და საზოგადოთ იმ ყურადღებისთვის, რომელსაც პატივცემული იღუმენია აქცევს ჩვენ ეკლესიის გამშვენებას.

ბოდბისხევის მიძინების ეკლესიის სტაროსტა **ზაქრო ნაცვლიშვილი.**

## კალენდარი

**იანვარი 31 დღე**

# 28

ახალი სტილით 10 მთვარე 30

**ხუთშაბათი**

**მართლმ.** ღირსისა მამისა ეფრემ. ასურისა.
**კ. თოლ.** წმ. კირილესი და კარლისა.
**გრიგორ.** წმ. მოწ. ევგენიასი და მაკარიასი.
**მაჰმადიან.** პიანჯ-შამბე 29 რ.
**ებრაელთა** იომხამიშ 1 რ. პირ ადარისა.




**ახალი რამ!!!**

**ჯიბის საათი მუდმივ კალენდრით**

ეს საათი უჩვენებს დღეს, რიცხვს და თვეს. ღამის ყოველ 12 საათზე ისრები ავტომატიურად გადახტებიან ხოლმე და უჩვენებენ მომავალ დღეს და რიცხვს. ამას გარდა, საათი ნამდვილი „ანკერია“, სიარული 15 ქვ., მაგ. ფოლადისაა, მომართვა 40 საათში ერთხელ. სწორედ დადის ფასი მხოლოდ 4 მ 50 კ., 2 ცალი—8 მ. 50 კ. იგზავნება ფას-დადებით ... წლის ... გაგზავნა 4 ცალი 40 კაპ. (ციმბირში 75 კაპ.) ჩვენი რჩევა: ნუ გამოუდგებით იაფ-ფასიან საათებს და შეუკვეთ ჩვენი მადლიერი იქნებით. ... საუცნაური 75 კ. და 1 მ. 50 კ., ... 2 მ. 50 კ. 3 მ. 50 კ. ადრესი:

Варшава. Отдѣл. Т-во Аккуратность. 7.

გთხოვთ, ადრესი ამოსჭრათ და მაგრა დააკარით კონვერტზე
(Метцль и К⁰ N 3624) (4—6.—2)

„დროების“ რედაქციაში

**მიიღება ხელის მოწერა**

Bâton-ის წიგნზედ

**„ერი და კაცობრიობა, განხილული სოც. მხრით“.**

**შინაარსი წიგნისა:**

**წინასიტყვაობა:** „ეროვნული საკითხი“ და სოციალიზმი.
**თავი პირველი:** რა არის საზოგადოება?
**თავი მეორე:** არსებობს თუ არა კაცობრიობა და როგორ?
**თავი მესამე:** ერი და საზოგადოება.
**თავი მეოთხე:** საზოგადოება, ერი, სახელმწიფო.
**თავი მეხუთე:** ხალხი, ერი, სახელმწიფო.
**თავი მეექვსე:** ერი.
**თავი მეშვიდე:** საერთაშორისო სამართალი და კაცობრიობა.
**თავი მერვე:** სოციალიზმი, ერი და კაცობრიობა.
**თავი მეცხრე:** ერის უფლება.
**თავი მეათე:** შედარებითი ღირსება ერთა.
**თავი მეთერთმეტე:** „ფონდი“ კაცობრიობისა, შესაძლებელი მომავალ...
**თავი მეთორმეტე:** განყენებული საზოგადოებრივი მეცნიერება და კონკრეტული საზოგადოებანი.
**თავი მეცამეტე:** ერის თეორიები.
**თავი მეთოთხმეტე:** ქართველი ერი.
**თავი მეთხუთმეტე:** დასკვნა: იდეალი და პრაქტიკა.

ხელის მოწერა მიიღება: **პეტერბურგში** თამარ ლომაურთან, **ოდესაში**—არჩ. ჯაჯანაშვილთან, **ფოთში**—ნოე ჟღენტთან, **ქუთაისში**—წიგნების მაღაზია „იმერეთი“ ის. კვიცარიძესთან, **ხონში**—გიგლა მებუკესთან, **ცხინვალში**—ელ. ელიოზიშვილთან, **გორში**—დ. მაჭავარიანთან, **ტფილისში** „დროების“ კანტორაში და წ. კ. საზოგადოების მაღაზიაში. **თელავში**—ივ. პაატაშვილთან, **კიევში**—ივ. კარგარეთელთან, **ხარკოვში**—იოს. ავალიშვილთან, **ბაქოში**—პ. ქარუმიძესთან, **ახალციხეში**—კ. გვარამაძესთან, **ჭიათურაში**—ს. ტარუაშვილთან და სხვა.

ხელის მოწერა მიიღება 1 **თებერვლამდე** (უკანასკნელი ვადა)

აგენტებს ვთხოვთ თავის დროზე წარმოადგინონ სია ხელის მომწერთ. წიგნის ფასი—ხელის მომწერთათვის **სამი აბაზი.** გასაყიდად ექვსი აბაზი.

(4—300—4) გამომცემელი **მ. ხუციშვილი.**

**საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი**

**ჯეჯილი**

**ოცდა პირველი წელიწადი**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

**ჟურნალი „ჯეჯილი“** ტფილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი 40 კაპ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ **ქუთაისში** წიგნის მაღაზიას „იმერეთ“-ს და ბათუმში **მ. კალანდაძეს.**

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „ДЖЕДЖИЛИ“.

(5—5) რედ.-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

**სანერგე ამერიკულ ვაზისა**

„კლდე-ეგურული“ ქუთაისში.

**● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●**

1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.

**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**

აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—20)

**პროვოდნიკის**



1897 წ.



1908 წ.

1888

**ამხანაგობა**

**რიგაში**

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**იყიდება ნარდად და ცალობით:**

დარეზინებული წყალ გაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალ სისტემის-ევროპიულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასად.

დარეზინებული **ჩამოსასხამი და პალტოები** ბ-ნ ოფიცრებისთვის;

დარეზინებული **მატერია** სხვა და სხვა მიზნისთვის;

**რეზინის ღრუბელი;**

**სავარცხლები** რქის რეზინისაგან;